სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარიამიძე რატი

მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობის ინდიკატორები ოცდამეერთე საუკუნის სკოლაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე გიგაშვილი

პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს განათლების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის, მასწავლებლის პრესტიჟისა და მასზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა შიდა ქართლის, კერძოდ ქ. გორის საჯარო სკოლებში ჩატარებული მოკლვლევის მაგალითზე.

საკითხით დაინტერესების წინაპირობას წარმოადგენს ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დაუსრულებელი კასკადის ფონზე, მასწავლებელთა მოტივაციის არ არსებობა და შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობის მკვეთრი დაქვეითება.

ნაშრომის მიზანია მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და ინდიკატორების გამოვლენა.

ამოცანებია:

- მასწავლებლის პროფესიის ჩამოყალიბების ისტორიული განვითარების შესწავლა, ლიტერატურის მიმოხილვა;
- მასწავლებლის პრესტიჟზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა ქ.გორის საჯარო სკოლების მაგალითზე;
- მასწავლებლის პრესტიჟულობის საზომი ინდიკატორების შემუშავება;
- მასწავლებლის პროფესიისადმი დამოკიდებულების შესწავლა;
- მასწავლებლის პრესტიჟულობის მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება;

ძირითადი შედეგი და სიახლე:

მასწავლებლის პრესტიჟზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით პროფესიული თვითგანვითარების მოდელის შექმნა.

R. R. Mariamidze

Prestigious indicators of the teacher's profession in the twenty-first century school

Annotation

The subject of the research is a study of one of the most important issues in the education system, the prestige of a teacher and the factors affecting it, on the example of a survey conducted in Shida Kartli, namely Gori public schools.

The reason for being interested in the issue is the absence of teachers' motivation and consequently the sharp decrease in the prestige of the teacher's profession, on the background of the endless cascade of ongoing reforms in the general education system.

The goal of the research is to study the factors affecting the prestige of the teacher's profession and to reveal the indicators.

The tasks are:

- To Explore historical development of formation of teacher's profession, review of literature;
- To explore the teacher's prestige on the example of Gori public schools;
- To elaborate measuring indicators of the teacher's prestige;
- To explore the attitude towards the profession as a teacher;
- To develop recommendations for improvement teacher's prestige indicators;

Main outcome and innovation:

Creating a professional self-development model after taking into consideration the factors affecting the teacher's prestige.

შინაარსი (სარჩევი)

1. მასწავლებლის პროფესიის ისტორიული მიმოხილვა 9

1.1. მასწავლებლის პროფესიული წინამძღვრები 9

1.2. განათლების გამავრცელებელთა ხვედრი და მათი პრესტიჟი დროის კონკრეტულ მონაკვეთში 11

1.3. საქართველოში წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა და გარდამავალი პერიოდი მასწავლებლობამდე 19

1.4. მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების პედაგოგიური მოღვაწეობა და სამასწავლებლო დაწესებულებები საქართველოში 28

2. მასწავლებელთა მომზადების ისტორიული მიმოხილვა, მისი როლი და ინდიკატორები 33

2.1. მასწავლებლის პროფესიის ჩამოყალიბების ეტაპები 33

2.2. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია; კვლევის მიზანი და შერჩევა 39

3. ოცდამეერთე საუკეუნე როგორც განათლების პარადიგიმის ცვლილების და მასწავლებლის ახალი იმიჯის ჩარჩო 48

3.1. განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და მისი ნეგატიური შედეგები.....48

3.2. მასწავლებლის მახასიათებლის ჩარჩო და ის ინდიკატორები, რომლებიც განაპირობებს მის წარმატება-წარუმატებლობის მაჩვენებელს 55

3.3. დასკვნები და რეკომენდაციები 61

შესავალი

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, სხვადასხვა ავტორთა აზრით, საბოლოო ჯამში არ იძლევა სტაბილურ და გაზომვად შედეგებს და ვერ რეაგირებს სკოლაში სწავლება სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე, კერძოდ: წიგნიერების დონე კვლავ დაბალია საქართველოში და რეფორმის შედეგები არ მოდის კორელაციაში მასწავლებლის განათლებასა და მის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებთან, ამასთან, არც მასწავლებლობა წარმოადგენს სასურველ და მიმზიდველ პროფესიას.

საქართველოში თითქმის ორი ათეული წელია მიმდინარეობს განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი, რამაც, თავის წილ, დღის წესრიგში მასწავლებელთა განათლების სისტემის და პროფესიული განვითარების გადააზრების საჭიროება დააყენა. ამ მიმართებით, რა თქმა უნდა, უამრავი გამოხმაურება არსებობს ბეჭდურ მედიასა თუ სამეცნიერო პერიოდიკაში, მაგრამ მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელებული რეფორმის პროცესის დინამიკურ კონტექსტში განხილვის დამადასტურებელი სამეცნიერო წყარო არ იძებნება. აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საბიუჯეტო თუ საგრანტო დაფინანსებებისა, სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებელთა განათლების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადებისა და ასევე ადამიანური თუ მატერიალური რესურსის დახარჯვისა, საზოგადოებაში განათლების რეფორმის წარმატება და საერთოდ მასწავლებლის პრესტიჟი ეჭვქვეშ დგება. ამ მიმართებით, ვფიქრობთ, აქტუალური და მნიშვნელოვანია მასწავლებლის პრესტიჟზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და ანალიზი. ამასთან, მასწავლებელთა პრესტიჟზე მოქედი ფაქტორები და მათი პროფესიული განვითარების ინსტრუმენტები საჭიროებს მიმდინარე პროცესებისა და ამ პროცესების შედეგების ანალიზს, რათა სამომავლოდ განათლების მიწოდებაზე ორიენტირებულმა დაწესებულებებმა და სახელმწიფო უწყებებმა, პროფესიულმა საზოგადოებამ, ახალი დროის რეფორმატორებმა, გაითვალისწინონ წარსული მემკვიდრეობა და თავიდან აიცილონ უკვე დაშვებული

შეცდომები. ჩვენ მიერ განისაზღვრა სამუშაო **ჰიპოთეზა** - განათლების რეფორმირების პროცესში განხორციელებული სისტემური ცვლილებების მიუხედავად, მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების შედეგებმა ვერ განაპირობა სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდა და მასწავლებლობის მსურველთა ნაკადისა და პროფესიის პრესტიჟულობის ზრდა რამდენიმე ფაქტორის გამო:

1. განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და ძირითადად დეცენტრალიზაციის ამოცანებითაა შემოფარგლული;
2. რეფორმის ფარგლებში ჩატარებულმა ღონისძიებებმა, როგორიცაა მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ხელშეწყობა, სხვადასხვა ტრენინგების ჩატარება, ვერ უზრუნველყო მასწავლებელთა პროფესიული დონის სათანადო ამაღლება და მათი პროფესიული პრესტიჟის პოზიტიური ცვლილება;
3. მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა და სკოლების დიდ ნაწილში დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის არაჯეროვნად განხორციელება იწვევს მასწავლებლის პრესტიჟისა და იმიჯის შელახვას;
4. მასწავლებლების ხელფასის სიმცირის გამო დაბალია მასწავლებელთა მოტივაცია;
5. მასწავლებლების მიმართ წაყენებული პერმანენტული საკანონმდებლო მოთხოვნები ცვალებადი ხასიათისაა და მძიმე ტვირთად აწევს მოქმედ მასწავლებლებს;

ვფიქრობთ, წინამდებარე კვლევას გააჩნია **პრაქტიკული ღირებულება** და ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

- კვლევის ეტაპზე შესწავლილი მასალის მიმოხილვა, ანალიზი, კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ქართულ

საზოგადოებაში მასწავლებლის პროფესიული იმიჯისა და პრესტიჟის ინდიკატორების ჩამოყალიბების მცდელობა.

- ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამომავლოდ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების მოდერნიზაციის პროცესის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებას.

წარმოადგენილ კვლევას არ გააჩნია პრეტენზია სრულად მოიცვას მასწავლებელთა პრესტიჟის გაუმჯობესების, განათლებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელებული ყველა აქტივობა და დეტალურად გააანალიზოს მათი დადებითი და უარყოფითი შედეგები. **ჩვენი კვლევის შედეგს წარმოადგენს** მასწავლებელთა განათლების და პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებული ტენდენციების ხელახალი გააზრება და განათლების პოლიტიკის რეფორმასთან დინამიკურ კონტექსტში წარმოდგენა, სწავლება-სწავლის ხარისხთან მიმართებით გააზრება.

ნაშრომის მოკლე აღწერა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 ძირითადი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან.

პირველი თავი ეთმობა - **მასწავლებლის პროფესიის ისტორიულ მიმოხილვას,** მეოცე საუკუნის 20-30 წლები, სამასწავლებლო დაწესებულებები საქართველოში (გორის, ბათუმის, თელავის, ქუთაისის სამასწავლებლო სასწავლებლები, მათი როლი მასწავლებლის პროფესიის ფორმირების პროცესში); წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა, გარდამავალი პერიოდი მასწავლებლობამდე; განათლების გამავრცელებელთა ხვედრი და მათი პრესტიჟი დროის კონკრეტულ მონაკვეთში;

მეორე თავში განხილულია მასწავლებლობის ადრეული პერიოდი, მასწავლებლის ისტორიული ფორმირების პროცესში თვალსაჩინო საბჭოური მოდელი და კვლევის მეთოდოლოგიის ძირითადი ასპექტები. ამავე თავში გაანალიზებულია მასწავლებლის როლი, საბჭოური მასწავლებლის იმიჯი და მთავარი ორიენტირები,

მასწავლებელზე ცენტრირებული განათლების საბჭოთა სისტემის ნაკლოვანებები და საჭიროებები ასევე მუდმივ განახლებად სისტემასთან შეჭიდების გზები;

მესამე თავი ეთმობა ოცდამეერთე საუკუნეში განათლების პარადიგმის ცვლილებას დასაბამიდან დღემდე, მასწავლებლის იმიჯსა და პრესტიჟულობას, განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესში მისი ნეგატიურ შედეგებს; ასევე მასწავლებლის პრესტიჟულობის იმ ინდიკატორებს, რომლებიც განაპირობებს მის წარმატება-წარუმატებლობის მაჩვენებელს და მათი შეფასების გზებს;

1. მასწავლებლის პროფესიის ისტორიული მიმოხილვა

1.1. მასწავლებლის პროფესიული წინამძღვრები

მასწავლებლის პროფესია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. ის პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში წარმოიშვა, როდესაც დაგროვდა იმდენი ცოდნა, რომ შრომის პროცესში მისი თავისთავად მიღება ვეღარ ხდებოდა და მხოლოდ ბრძენ ადამიანებს შეეძლოთ მთელი ამ ცოდნის ფლობა და სხვა ადამიანებისთვის გაზიარება. **მასწავლებელი ცოდნას, პატიოსნებასა და კულტურას განასახიერებდა, შეგნება და სინათლე შეჰქონდა ხალხში. როცა მასწავლებლის პროფესია მასობრივი გახდა, შედარებით დაიწია ამ პროფესიის პრესტიჟულობამ,** თუმცა ყველა შეგნებულ ადამიანს კარგად ესმის მასწავლებლობის პროფესიის სირთულე და დიდი მნიშვნელობა. მასწავლებელს მინდობილი აქვს ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და რთული საქმე – ახალგაზრდა თაობის აღზრდა სინდისიერ, კაცთმოყვარე, მცოდნე და კულტურულ პიროვნებებად, რომლებსაც საზოგადოების წინაშე წარმოშობილი მნიშვნელოვანი პრობლემიების მოგვარება უნდა შეეძლოთ.

მასწავლებელს ლექსიკონი განმარტავს, როგორც - პიროვნება, რომელიც სწავლის პროცესში ეხმარება[1] და რჩევებს აძლევს მოსწავლეს, ხშირად საშუალო სკოლებში. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლებისთვის იხმარება სხვა სიტყვები - პროფესორი, ლექტორი. თანამედროვე გაგებით, ადამიანი, რომელსაც მიბარებული ჰყავს აღსაზრდელი, შეგირდი და უნდა აღზარდოს, რაც გულისხმობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას.

მასწავლებელი ძალიან კარგად უნდა ფლობდეს თავის სასწავლო საგანს, ასევე უნდა ერკვეოდეს მონათესავე დისციპლინებშიც. ამ ყველაფერთან ერთად, მან უნდა იცოდეს პედაგოგიკის ისტორია და თეორია, საგნის მეთოდიკა და ასაკობრივი ფსიქოლოგია.

---

[1] აღსანიშნავია ინოვაციური ტენდენცია განათლებაში, ქოუჩინგი და მენტორობა, რომელიც თავის ფართე გაგებით გულისხმობს სწორედ სასწავლო პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ მოსწავლემ საკუთარი მიგნებებითა და აღმოჩენებით მიაღწიოს წარმატებას და წინსვლას.

ყველა მოსწავლე განსხვავებულია და ყველას შესაბამისი მიდგომა სჭირდება, ყველას სხვადასხვა ნიჭი და უნარი აქვს, განსხვავებული ხედვა, სხვადასხვა ოჯახური კულტურის მქონეა, ამიტომ მასწავლებელს დიდი შრომა სჭიდება, რომ ყოველივე ამას გაუმკლავდეს.

ფრანგი განმანათლებლის ჟან ჟაკ რუსოს აზრით, აღმზრდელი არის ადამიანურობის სახელოსნოს ოსტატი და ეს ხელობა ყველაზე რთული და ხანგრძლივია. აღმზრდელი ბავშვის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს.

ი. გოგებაშვილის მიხედვით, მასწავლებელს უშუალოდ სკოლაში მოღვაწეობის გარდა დიდი საზოგადოებრივი დანიშნულებაც აქვს. ის ქვეყნის სოციალური და ეკონომიური განვითარების შუაგულში ტრიალებს. ის დიდ ზეგავლენას ახდენს ხალხის კულტურულ განვითარებაზე. დიდი ქართველი პედაგოგის აზრით, მასწავლებელი უნდა იყოს როგორც თავისი მოწაფეების, ისე მთელი ხალხის სანიმუშო მაგალითი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს ის თავისი მაღალი დანიშნულების აღსრულებას.

XXI საუკუნეში პროფესიონალ მასწავლებელს უნდა გააჩნდეს ყველა ის თვისება, რომელიც მას აღმზრდელის ფუნქციების შეთვისებაში გაუწევს დაეხმარებას. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სკოლა ბავშვისთვის მეორე მშობლიური გარემოა, სადაც თავისი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს ატარებს, აქ ბევრ რამეს სწავლობს და შეიცნობს, ამიტომ ეს გარემო მოწესრიგებული და დალაგებული უნდა იყოს . ამ გარემოში მომუშავე მასწავლებელი უნდა იყოს, მომთმენი, კეთილი, გულისხმიერი, მოსიყვარულე, სამართლიანი, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობიანი. თუ მასწავლებელს ეს თვისებები არ აქვს წინ წამოწეული მას გაუჭირდება მოსწავლეთა პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვება, რაც სრულფასოვანი საგაკვეთილო პროცესისი წარმართვის წინაპირობაა.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარი პროფესორი შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავდა, რომ „აღზრდის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა მორალურ უპირატესობაზე აგებულ ავტორიტეტს აქვს. მასწავლებელი მოსწავლეზე

აღმზრდელობით ზემოქმედებას ყველაზე მეტად მორალური სიმტკიცითა და სრულყოფილებით ახდენს. იგი თვითონ უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი პრინციპებით აღჭურვილი პიროვნება, რომ სხვების (ამ შემთხვევაში მოსწავლეების) ასეთად ქცევა შეძლოს. ყოველგვარი სააღმზრდელო ღონისძიება კარგავს ძალას იმ მასწავლებლის ხელში, რომელიც მოსწავლეთათვის მორალურ საფუძველზე აღიარებულ ავტორიტეტს არ წარმოადგენს. ამიტომ ყველაზე ძვირფასი, რაც მასწავლებელს, როგორც აღმზრდელს, მოეპოვება, ესაა ავტორიტეტი, რომელსაც იგი მუდამ თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს." [2]

ავტორიტეტი არის მოსწავლეებზე ზეგავლენის ძალა, მასწავლებლისადმი ნდობა, პატივისცემა, დაჯერება. მასწავლებლის ავტორიტეტის განსაზღვრავს: ცოდნა, ნიჭი, ტაქტი, ოსტატობა, და სხვა. ავტორიტეტი მასწავლებელს უნდა ჰქონდეს, როგორც მოსწავლეებში, ასევე თავის კოლეგებში, ხალხში, ყველგან, სადაც მას კონტაქტი და ურთიერთობები აქვს.

"კარგი მასწავლებლის ფსიქოლოგიური პორტრეტი კი ასეთია: **მასწავლებელს უნდა უყვარდეს ბავშვები და თავისი პროფესია, ჰქონდეს საგნის აკადემიური ცოდნა, ფლობდეს სწავლების სტრატეგიებს, საკლასო ოთახის მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს. გრძნობდეს მოსწავლეთა საჭიროებებს. მასწავლებელს უნდა შეეძლოს საკუთარი პიროვნების შეცნობა და მართვა (მისწრაფებების, ძლიერი და სუსტი მხარეების გაცნობიერება).** თუ მასწავლებელმა ეს შეძლო, იგი ადვილად ჩასწვდება თითოეული ბავშვის ხასიათსაც და წარმატებით შეძლებს მათთან ურთიერთობას."[3]

1.2. განათლების გამავრცელებელთა ხვედრი და მათი პრესტიჟი დროის კონკრეტულ მონაკვეთში

პედაგოგიკის განვითარებისა და ხალხში განათლების გავრცელებისათვის, მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, განათლების გამავრცელებლები, იან ამოს

---

[2]მასწავლებლობა - პროფესია თუ მოწოდება, ი. ხატიაშვილი, GESJ: Education Science and Psychology 2014 | No. 5(31), გვ 135

[3]მასწავლებლობა - პროფესია თუ მოწოდება, ი. ხატიაშვილი, GESJ: Education Science and Psychology 2014 | No. 5(31), გვ 137

კომენსკი, ჟან-ჟაკ რუსო, იოჰან ჰენრიხ პესტალოცი და სხვები მიუხედავად დიდი სირთულეებისა, დაუღალავად შრომობდნენ. მათი პედააგოგიური საქმიანობა პრაქტიკულად საფუძვლად დაედო კლასიკური პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ფორმირებასა და ჩამოყალიბებას. მათი გამოცდილებით, შრომით, პედაგოგიკური იდეებით ფაქტობრივად შეიცვალა განათლებისა და აღზრდის მიმართ დამოკიდებულება.

პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელი, გამოჩენილი ჰუმანისტი და დემოკრატი იან ამოს კომენსკი დაიბადა 1592 წლის 28 მარტს ჩეხეთის ქალაქ ნივინცეში, „ჩეხთა (ბოჰემიის) ძმობის“ საზოგადოების წევრის მარტინ კომენსკის ოჯახში. მისი ცხოვრება რთული იყო. 12 წლის ასაკში უდედ-მამოდ დარჩა და სიღარიებეში ცხოვრობდა, მაგრამ კეთილი ადამიანების დახმარებით შეძლო ფშეროვის ლათინური სკოლის და შემდეგ ჰერბორნის უნივერსიტეტის დამთავრება. ჰერბორნის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების რამდენიმე დარგის შესწავლასთან ერთად კომენსკი ეუფლებოდა მოწინავე პედაგოგიკურ შეხედულებებს, ის მოგზაურობდა ევროპაში და ეცნობოდა სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებას. ჰაიდელბერგში მან უკანასკნელი გროშებით შეიძინა კოპერნიკის ხელნაწერი შრომა „ციურ მნათობთა შესახებ“ და სამგზავრო ფული აღარ გააჩნდა, ამის გამო ფეხით მოუწია ათასკილომეტრიანი გზის გავლა გერმანიიდან სამშობლომდე.

სამშობლოში დაბრუნებულმა კომენსკიმ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მან გადაწყვიტა მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მშობელი ხალხის განათლებასა და კეთილდღეობისათვის მოეხმარებინა. ის მონდომებით მუშაობდა ჯერ ფშეროვის, შემდეგ კი ფულნეკის სკოლებში. 1616 წელს, როცა 24 წლის გახდა საზოგადოების მოთხოვნით დაინიშნა პასტორად (მღვდლად) და ამავე დროს ფშეროვის ძმათა საზოგადოების ეპისკოპოსის თანაშემწედ. 1618 წელს კი ძმათა საზოგადოებამ კომენსკი მოძღვარ-მქადაგებლად გადაიყვანა ფულნეკში, სამხრეთ ჩეხეთის შესანიშნავ ქალაქში, რომელიც ცნობილი იყო თავისი მდიდარი ისტორიით. ამ ქალაქში ძლიერი იყო „ბოჰემიის ძმათა“ საზოგადოება და მისი ტრადიციები. ამ საზოგადოების მიერ იან ამოს კომენსკი დაინიშნა ფულნეკის ლათინური სკოლის ხელმძღვანელად და დაევალა ამ

საზოგადოების სკოლებზე მეთვალყურეობა. ახალგაზრდა მოძღვარი და მასწავლებელი ბავშვებს მშობლიური ენისა და ბუნებისადმი სიყვარულს უნერგავდა, ეძებდა და ამოწმებდა სწავლების ახალ-ახალ მეთოდებს. კომენსკიმ უარყო უაზრო ზეპირობა სწავლებაში, სწავლება დაუკავშირა ცხოვრების სინამდვილეს.

1618-1648 წლებში გაჩაღებულმა ოცდაათწლიანმა ომმა ჩეხ ხალხს უსაზღვრო რბევა და დევნა მოუტანა. ფულნეკში შეჭრილმა ჯარებმა გადაწვეს ქალაქი, ხანძარმა შთანთქა კომენსკის სახლი, წიგნები და ხელნაწერები. თვითონ კომენსკი ბოჰემის მთებში გადაიხვეწა. შავმა ჭირმა იმხვერპლა მისი ცოლ-შვილი, მაგრამ, მიუხედავად დიდი უბედურებისა და გაჭირვებისა იგი მაინც სათავეში ჩაუდგა ლტოლვილ თანამოძმეებს. სამშობლოს მოწყვეტილი პედაგოგი ბევრს კითხულობდა, წერდა და ფიქრობდა „დიდ დიდაქტიკაზე“. 1628 წელს მან თანამემამულეებთან ერთად გადალახა ჩეხეთის საზღვარი და თავი შეაფარა პოლონეთს, ქალაქ ლეშნოს. პოლონეთშივე გამოაქვეყნა კომენსკიმ თხზულებები, რომლებმაც ფართოდ გაუთქვა სახელი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მალე გავრცელდა მისი ლათინური ენის სახელმზღვანელო - „ენათა და ყველა მეცნიერებათა ღია კარები“. 1632 წლს კომენსკიმ დაასრულა თავისი უკვდავი თხზულება „დიდი დიდაქტიკა“ ჩეხურ ენაზე, რომელიც შემდეგ თვითონვე თარგმნა ლათინურად.

სკოლის რეფორმების[4] პროექტის შესადგენად კომენსკი მიიწვიეს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში. უკვე ხანშიშესული კომენსკი საცხოვრებლად ჰოლანდიის დედაქლაქში გადავიდა. 1657 წელს ამსტრედამში სენატის გადაწყვეტილებით გამოიცა კომენსკის პედაგოგიკურ თხზულებათა სამი ტომი. 1658 წელს ნიურნბერგში დაისტამბა კომენსკის მსოფლიოში პირველი ილუსტრირებული სამაგალითო სასკოლო სახელმძღვანელო „გრძნობადი სამყარო სურათებში“.

მშობლიურ მხარეს მონატრებული მძიმე ცხოვრებითა და ჯაფით დაქანცული 78 წლის ასაკში გადაიცვალა ამსტერდამში 1670 წლის 15 ნოემბერს. ის დაკრძალულია

[4]ყურადსაღებია, რომ სისტემის სრულყოფის პროცესში რეფორმირება ბუნებრივი მოვლენაა და ამას ადასტურებს კომენსკის მიერ განათლების უკვე არსებული სისტემის რეფორმის პროექტის შედგენაზე ფიქრი.

ნაარდენში, ამსტერდამის მახლობლად. თავისი თეორიული შრომებით, სახელმძღვანელოებითა და პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობით კომენსკიმ უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიოს პედაგოგიკის შემდგომ განვითარებაზე. მადლიერი შთამომავლობა ღირსეულად აფასებს დემოკრატ პედაგოგსა და მოაზროვნეს იან ამოს კომენსკის. დიდი ქართველი პედააგოგი იაკობ გოგებაშვილი თავის შრომებში არაერთხელ აღნიშნავდა, რომ „პედაგოგიკის მამამთავარი კომენსკი კაცთმოყვარეობის, ალტრუიზმის მნათობი იყო“.

ჟან-ჟაკ რუსო დაიბადა ჟენევაში 1712 წელს. მისი წინაპრები აქ XV საუკუნეში საფრანგეთიდან ჩამოსახლებულან. მამა ისააკი მესაათე იყო, დედა სიუზანა შვილის მშობიარობას გადაჰყოლია და ძმისშვილის აღზრდა მამიდამ იკისრა. ის გონებრივად სწრაფად განვითარდა. შვიდი წლისას მას უკვე ბევრი სათავგადასავლო წიგნი ჰქონდა წაკითხული. მის მამას ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია. ჟაკი დიდი ინტერესით კითხულობდა რომანებსა და ისტორიულ თხზულებებს, განსაკუთრებით კი დაინტერესებული იყო ძველბერძნული და რომაული ლიტერატურით. ამ ყველაფერმა მასში შემოქმედებითი ფანტაზია და ლიტერატურულ-მეცნიერული შემოქმედების ნიჭი განავითარა, მაგრამ მისი გამოვლენის შესაძლებლობებს ხელი ეშლებოდა. ისააკ რუსო მალე მეორედ დაქორწინდა და დედის ძმა გახდა ბავშვის მეურვე. უდედობამ და ფაქტობრივად უმამობამ მძიმე კვალი დაამჩნია მომავალ დიდ მოაზროვნეს, რაც აშკარად ჩანს მის ნაწარმოებებში „ახალი ელიოზა“, „ემილი“, „აღსარება“. დაწყებითი განათლება ჟან-ჟაკ რუსომ სოფლის მღვდელთან მიიღო. ამის შემდეგ მას სისტემატური განათლება არ მიუღია, თუმცა ნიჭითა და დაუღალავი შრომით მიაღწია საეტაპო შედეგებს მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალ დარგში.

დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ რუსო სხვადასხვა დროს მუშაობდა ნოტარიუსში, სწავლობდა საგრავიორო საქმეს და სხვა. 16 წლის ასაკში საბერძნეთში გაემგზავარა. 1728 წელს ის შემთხვევით მოხვდა მდიდარი ქალის ლუიზა-ელეონორა ვარენის ოჯახში, რომელიც დაეხმარა საფრანგეთის ქ. სავოიაში გეგრძელებინა განათლების მიღება. რუსო ლიონში შინამასწავლებლად ეწყობა, მაგრამ მალე რწმუნდება, რომ მასწავლებლობისათვის ის ჯერ კიდევ არ არის მზად და 1741 წელს

პარიზში მიემგზავრება. ის სორბონის უნივერსიტეტთან ახლოს ქირაობს ბინას. პარიზში პირველად უახლოვდება აბატ ბადლის, კონდილიაკს და სხვა. რუსო კვლავ ერთ-ერთი გავლენიანი მანდილოსნის დახმარებით იკავებს ვენეციაში საფრანგეთის ელჩის მდივნის თანამდებობას, ხოლო ორი წლის შემდეგ ის პარიზში ბრუნდება. მდიდარი მოიჯარის კლოდ დიუპენის ოჯახში რუსომ გაიცნო გამოჩენილი ფრანგი ენციკლოპედისტები დიდრო, დალამბერი, გრიმი, დიუკლო და სხვა. ამავე ოჯახში იწყებს სამსახურს მდივნად და წელიწადში სოლიდურ ხელფასს (900 ფრანკს) იღებს. დიდროსა და დალამბერის მიწვევით ის ენციკლოპედიის აქტიური თანამშრომელი ხდება. დიუპენის ოჯახმა რუსო მუსიკითაც დააინტერესა და ხელი შეუწყო მისი მუსიკალური მონაცემების განვითარებას. რუსომ შეთხზა რამდენიმე მუსიკალურ პიესას. ის მუსიკის თეორიაშიც სცდის ბედს და აქვეყნებს ნაშრომს „დისერტაცია თანამედროვე მუსიკის შესახებ“. 1748 წელს სხვადასხვა ჟურნალებში იბეჭდება რუსოს ოდები: „ბაღი შარმეტში“, „მიძღვნა ბინ ბორდს“ და სხვა. რუსო საფრანგეთში ცნობილი და აღიარებული ლიტერატორი ხდება. 1750 წლიდან კი იწყება მისი ნამდვილი ტრიუმფი, რაც გამოიწვია დიჟონის აკადემიის მიერ პრემირებულმა ნაშრომმა „მსჯელობანი მეცნიერებათა და ხელოვნების შესახებ“.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთში ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო მოძრაობა, რომლის დედააზრი ხალხის გათვიცნობიერება და საერთო განათლების დონის ამაღლება იყო. დიდრო, ვოლტერი, დალამბერი, ჰოლბახი, ჰელვეციუსი, კონდილიაკი, რუსო თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზზე და დაიწყეს თავისუფალების იდეების ქადაგება.

1741 წელს ქვეყნდება რუსოს ბრწყინვალე ტრაქტატი „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, რომელშიც მოცემულია სოციალური უთანასწორობის მკაცრი კრიტიკა. ამ ნაშრომმა თაყვანიმცემლებთან ერთად მის ავტორს მტრებიც შესძინა. ჰოლბახს, ვოლტერს, დალამბერს დიდროს არ მოეწონათ უკიდურესი მოსაზრებანი , რომლებიც რუსომ ცალკეულ საკითხებზე ჰქონდა გამოთმული. ამ წიგნმა გააღრამავა სხვა განმანათლებლებთან ადრე დაწყებული განხეთქილება. ვოლტერის, დიდროს,

ჰოლბახის და სხვა თანამედროვეების მცდელობებს – შემოერიგებინათ რუსო, შედეგი არ მოჰყოლია. რუსოს რწმენა საკუთარი მრწამსის სისწორეში იმდენად ძლიერი იყო, რომ კომპრომისზე ვერ წავიდა.

1760 წელს რუსომ დაამთავრა მუშაობა რომანზე „ახალი ელიოზა“, ხოლო 1762 წელს გამოდი მისი უკვდავი პედაგოგიური ტრაქტატი „ემილი, ანუ აღრზდის შესახებ“.

დევნა-შევიწროვებამ, დაუსრულებელმა ხეტიალმა, დამქანცველმა მუშაობამ რუსოს ჯანმრთელობა შეარყია და სიცოცხლის ბოლო წლებში მძიმე ნევრასტენიით დაავადდა. იგი დევნის მანიით იყო შეპყრობილი. ამ პერიოდის სტატიებში ის საუბრობს მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებებზე, ჯალათებზე, რომლებიც მას ჩუმად დაჰყვებიან და ა.შ. თუმცა ამავე დროს ამ წერილებში არის მწყობრი მსჯელობები და დებულებები, რომლებიც მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს. მკვლევრები თვლიან, რომ რუსოს ცხოვრების ამ პერიოდში აქვს დეპრესიისა და ინტელექტუალური სინათლის მომენტები, რომლებიც ენაცვლებდა ერთმანეთს. მისი ბოლო დაუსრულებელი წიგნი „მარტოხელა მეოცნების სეირნობანი“ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და იგი „აღსარების“ გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ.

1778 წლის 2 ივლისს 66 წლის ასაკში ჟან-ჟაკ რუსო ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. პირველად დაასაფლავეს პარიზის გარეუბანში შემდეგ კი 1794 იაკობიანელებმა დიდი პატივით რუსოს ცხედარი პარიზის პანთეონში დაასვენეს და ვოლტერის გვერდით მიუჩინეს ადგილი. პანთეონს დღესაც ამშვენებს წარწერა „საფრანგეთის დიდ შვილებს - მადლიერი სამშობლოსგან“.

დიდი დემოკრატი პედაგოგი იოჰან ჰენრიხ პესტალოცი დაიბადა შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ექიმის ოჯახში. 5 წლის ასაკში მამა გარდაეცვალა. ჰენრიხის აღზრდა დედასთან ერთად იკისრა უბრალო გლეხის ქალმა, შინამოსამსახურემ ბარბარა შმიდტმა. პესტალოცი ხშირად იყო აღმზრდელთან სოფელში. აქ იგი ახლოს გაეცნო გლეხთა მძიმე შრომას და ბავშვობიდანვე მათდამი დიდი პატივისცემისა და სიბრალულის გრძნობა გაუჩნდა. სიჭაბუკეში პესტალოცი ბევრს კითხულობდა, თუმცა ფიზიკურად სუსტი იყო. შრომისმოყვარეობისა და ნიჭის წყალობით დაწყებითი

სკოლის კურსი სამ წელში დაამთავრა და შემდეგ ლათინურ სკოლაში გააგრძელა სწავლა. ლათინური სკოლის დამთავრების შემდეგ პესტალოცი განათლების მიღებას განაგრძობს ჰუმანიტარულ კოლეჯში, აქ ძირითადად ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა. კოლეჯში გაბატონებული იყო ფრანგ განმანათლებელთა დემოკრატიული იდეები და პესტალოცი ხარბად დაეწაფა მათ. ამ პერიოდში გაეცნო ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომებს „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ და „ემილი, ანუ აღრზდის შესახებ“. მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ხალხისადმი სამსახურისთვის მიეძღვნა მთელი თავისი ცხოვრება.

პესტალოცი ფიქრობდა, რომ ღარიბი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება შეიძლება განათლების სისტემის გაუმჯობესებითა და მეურნეობის მართვაში მეცნიერული ცოდნის გამოყენებით. 1771 წელს მეგობრებისგან შემოწირული თანხებით მან თავის სახლში მოაწყო უზედამხედველო ბავშვთა თავშესაფარი, შეიძინა მამული და უწოდა მას „ნეიჰოკი“ („ახალი ეზო“). მოსწავლეთა ცხოვრება და აღზრდა ნეიჰოკში ემყარებოდა პესტალოცი მიერ შემუშავებულ პედაგოგიურ ექსპერიმენტს – მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების შესახებ. ბავშვები მუშაობდნენ და სწავლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პესტალოცი დაუღალავად შრომობდა ამ იდეის განხორციელებისათვის, ექსპერიმენტი მაინც კრახით დასრულდა. ამის მიზეზი იყო იმის გაუთვალიწინებლობა, რომ მოსწავლის შრომა ვერ იქნება საწარმოო შრომა. იგი სასწავლო შრომაა და მას მხოლოდ შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ევალება. 1780 წელს პესტალოცი იძულებული გახდა დაეხურა ბავშვთა თავშესაფარი და შეუდგა ნეიჰოკის ექსპერიმენტის თეორიულ დამუშავებას ამ მიზნით დაწერა ვრცელი რომანი „ლინჰარდი და ჰერტრუდა“ და შეეცადა მიეცა აღწერა იმ საგანმანათლებლო სისტემისა, რომელიც ხელს შეუწყობდა კაცობრიობის აღორძინებას. რომანის სიუჟეტში მთავარი ადგილი უჭირავს მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების იდეას. თუმცა ის, ამავე დროს თვლის, რომ ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემას მხოლოდ სკოლა ვერ გადაწყვეტს. სოფლის მემამულეც ადამიანურად უნდა ზრუნავდეს თავისი გლეხებისათვის.

„ლინჰარდი და ჰერტრუდა“ ითარგმნა ევროპულ ენებზე და პესტალოცის უდიდესი ავტორიტეტი მოუხვეჭა. მას უწოდებდნენ „კაცობრიობის მეგობარს“, „ღარიბთა მშველელს“. 1792 წლის 25 აგვისტოს რევოლუციური საფრანგეთის საკანონმდებლო კრებამ პესტალოცის მიანიჭა „საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქის“ საპატიო წოდება. მას იწვევდნენ შვეიცარიის რევოლუციურ მთავრობაში, მაგრამ პესტალოცი უპირატესობას მაინ პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობას ანიჭებდა. ის გადადის ქ. სტანცში, სადაც რევოლუციურ მოძრაობას დიდი ნგრევა მოჰყვა, შეკრიბა 80 უზედამხედველო და ნახევრად უზედამხედველო ბავშვი, შექმნა მათთვის თავშესაფარი. აქაც სასწავლო აღმზრდელობით მუშაობას მან საფუძვლად დაუდო მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების პრინციპი და შეუდგა მოსწავლეთა ხელახალი აღზრდის საქმეს. პედაგოგის მოღვაწეობა ქ. სტანცში პესტალოციმ ნათლად ასახა წერილში „სტანცში ყოფნის შესახებ“. სამწუხაროდ ეს თავშესაფარიც მალე დაიშალა, რადგან რევოლუციურმა არმიამ იმ შენობაში სამხედრო ლაზარეთი გახსნა.

1800-1805 წლებში პესტალოცი ნაყოფიერად მოღვაწეობს ჯერ ბურგდორფის შემდეგ კი იფერტონის დიდ საცდელ სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელად. ამ წლებში მის წინაშე გადაიშალა ექსპერიმენტული მუშაობის ფართო შესაძლებლობანი. ის ამუშავებს თავის პედაგოგიურ სისტემას, წერს მეთოდურ ნაშრომებს. ბურგდორფის და იფერტონის სასწავლებლებში პესტალოცის საინტერესო ექსპერიმენტების გასაცნობად ევროპის სხვდასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ მოწინავე მასწავლებლები: ფრებელი, ფიხტე და სხვა მოაზროვნეები. პესტალოცის კი თანდათან დაუმკვიდრდა „მასწავლებელთა მასწავლებლის“ სახელი. თუმცა ის მაინც უკმყოფილო იყო, რადგან მის ინსტიტუტში ძირითადად შეძლებული ოჯახების შვილები სწავლობდნენ. მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების იდეა ვერ ხორციელდებოდა. პესტალოცი კი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ შრომითი აღზრის მეშვეობით შეიძლებოდა ჭეშმარიტად ზნეობრივი ადამიანების აღზრდა. შინაგანმა წინააღმდეგობებმა დაშალა იფერტონის ინსტიტუტიც. 80 წელს მიღწეული ჰენრიხ პესტალოცი იმედგაცრუებული იძულებული გახდა დაეტოვებინა იგი და სიცოცხლის დარჩენილი დრო მოახმარებინა გაწეული პრაქტიკული პედაგოგიური შრომის

თეორიულ განზოგადებისთვის. ასე შექმნა 1826 წელს „გედის სიმღერა“. ერთი წლის შემდეგ, 1827 წელს პეტალოცი გარდაიცვალა. მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მასწავლებლის შრომას და ფიქრს. ხშირად მშიერი ცხოვრობდა. მთელ თავის მცირე სახსრებს ის უშურველად აძლევდა თავის აღსაზრდელებს. მადლიერმა შთამომავლობამ დიდ პედაგოგს ძეგლი აუგო საფლავზე, რომელზეც ამოკვეთილია სიტყვები: „ყველაფერი ბავშვებისთვის არაფერი ჩემთვის“. პესტალოციმ იცხოვრა დემოკრატი, სახალხო პედაგოგის სიცოცხლით და კაცობრიობას დაუტოვა ხალხისთვის თავდადებული საზოგადო მოღვაწისა და განმანათლებლის ნიმუშის მნიშვნელობის თეორიული და პრაქტიკული პედაგოიური გამოცდილება.

1.3. საქართველოში წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა და გარდამავალი პერიოდი მასწავლებლობამდე

“ქართული პედაგოგიკური აზროვნების საწყისები შორეულ წარსულს განეკუთვნება. ძვირფას პედაგოგიკურ იდეებს ვპოულობთ ჯერ კიდევ პეტრე იბერის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, შოთა რუსთაველის, არჩილ მეფის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და სხვა მოღვაწეთა ნააზრევში, მაგრამ პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში და მისი მთავარი ხუროთმოძღვარი იაკობ გოგებაშვილი იყო.”[5]

დიდი პედაგოგი-კლასიკოსი, ნიჭიერი პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უაქტიურესი მონაწილე, განმანათლებელი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 15 (ახ. სტ.27) ოქტომბერს გორის მაზრის სფელ ვარიანში. იაკობის მამა სოფლის ღარიბი მღვდელი იყო, რომელსაც 8 შვილი ჰყავდა. ბავშვობაში იაკობი თანატოლებისაგან გონება-მახვილობით, გულკეთილობით, მუსიკალური ნიჭითა და სხვა დადებითი თვისებებით გამოირჩეოდა. ამ თვისებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი, როგორც მოაზროვნის, პედაგოგის, მოღვაწისა და მოქალაქის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში.

---

[5]პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი აკადემიკოსი ნ. ვასაძე, თბილისი 1998 წელი გვ. 264.

8 წლის ასაკში იაკობი პირველად სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, მაგრამ მალე თბილისის სასულიერო სასწავლებელში გდაიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგ, 1855 წელს იქვე სასულიერო სემინარიაში გააგრძელა განათლების მიღებ. მან სემინარიის კურსი წარჩინებით დაამთავრა და სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხვის რეკომენდაცია მისცეს. მიუხედვად იმისა, რომ სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, თანაც პედაგოგის პროფესიაზე ოცნებობდა, 1861 წელს იაკობი მაინც გაემგზავრა კიევში და სასულიერო აკადემიაში ჩააბარა მისაღები გამოცდები. აკადემიაში სწავლისას იაკობი გაეცნო მსოფლიოს პროგრესულ პედაგოგთა შეხედულებებს. ამან დიდი გავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ის არ კმაყოფილდებოდა სასულიერო აკადემიაში მოსმენილი ლექციებით და პარალელურად ესწრებოდა გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს კიევის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის დარგებში. ავადმყოფობის გამო მესამე კურსიდან მან სწავლა შეწყვიტა და 1863 წელს სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წელს დანიშნეს თბილისის სასულიერო სასწავლებლის გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად, 1865 წელს ამ სასწავლებლის ზედამხედველი იყო, ხოლო 1868 წელ ინსპექტორად დანიშნეს.

იაკობი თავიდანვე გამორჩეული იყო თავისი მოწინავე პროგრესული იდეებით. მან ბრძოლა გამოუცხადა სასწავლებელში გაბატონებულ ჩინოვნიკურ-პოლიციურ რეჟიმს. მისი ყოფილი მოსწავლეები იხსენებენ , რომ იაკობი იყო მათი ერთ-ერთი მეგობარი და გულშემატკივარი. 1871 წელს ი. გოგებაშვილმა შეადგინა და თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას წარუდგინა „სასულიერო სასწავლებელთა გარდაქმნის პროექტი“, მაგრამ ეს ქმედება მას მთავრობის საწინააღმდეგო გამოხდომად ჩაუთვალეს და, როგორც პოლოიტიკურად არასაიმედო აღრიცხვაზე აიყვანეს. 1873 წლის ბოლოს კი იაკობი სამსახურიდან გაათავისუფლეს მესამე მუხლის ძალით , რომელიც პოლიტიკური არასაიმედობის გამო უკრძალავდა მას სახელმწიფო სამსახურში შესვლას. იაკობმა დაწვა ყველა საბუთი, რომ სამსახურში შესვლის სურვილი აღარ გაჩენოდა და მთლიანად საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩაება. იგი მართლაც

ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა თავის ხალხს, დიდი წვლილი შექონდა ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების დონის ამაღლებაში.

იაკობის ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა მისი სამშობლოში დაბრუნებისას დაიწყო. 1865 წელს მისი ავტრობით გამოიცა ანბანის სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, რომელიც არსებულ სახელმძღვანელოთაგან თავისი პედაგოგიური ღირსებებით გამირჩეოდა. ეს წიგნი იაკობმა შეადგინა უახლესი მეთოდბით. 1868 წელს მან გამოსცა ქართული ენისა და ლიტერატურის ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელო „ბუნების კარი“, რომელიც 1918 წლამდე სისტემატურად გამოდიოდა. 1876 წელს გამოიცა ი. გოგებაშვილის განთქმული „დედა-ენა“ ჯერ ერთ ნაწილად, 1906 წლიდან – ორ ნაწილად. იგი 1925 წლამდე გამოდიოდა. ამ ყველაფერთან ერთად მან შექმნა ამ სახელმძღვანელოთი მუშაობის მეთოდიკის სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის, ამით საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის სწავლების მეთოდიკის მეცნიერებას ჩვენში.

“გოგებაშვილის „დედა ენის“ დიდი პოპულარობა და ხალხის სიყვარული განაპირობა მისი შინაარსის ხალხურობამ, მიმზიდველობამ, შედგენის მეთოდმა, განსაკუთრებით იმან რომ წერა კითხვის სწავლება იწყება ნორმალური სიტყვით და ფრაზით „აი ია“. ამ წიგნში განზოგადებულია მოწინავე მეთოდიკურ-დიდაქთიკური პრინციპები და ხერხები, გადამუშავებული ქართველი ხალხის ინტერესებისა და ქართული ენის თავისებურებათა გათვალისწინებით.“[6]

სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკური წერილების გარდა, ი. გოგებაშვილმა დაწერა მრავალრი პუბლიცისტური წერილი, რომლებსაც იგი 1865 წლიდან პედაგოგიურ პრესაში და ცალკე წიგნებადაც აქვეყნებდა. იაკობმა ასევე შექმნა საბავშვო მოთხრობები, სკოლისგარეშე და ოჯახში საკითხავი წიგნები, კრებულები და სხვა.

იაკობს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მან დიდი როლი შეასრულა იმ მცირერიცხოვან ინტელიგენტთა წრეში რომელმაც სოფელ

[6] პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი აკადემიკოსი ნ. ვასაძე, თბილისი 1998 წელი გვ. 289

ხოვლეში სკოლა დაარსა XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში. ის აქტიურად მონაწილეობდა „შეუძლებელ მოსწავლთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების“ დაარსებაში (1878). სწორედ ამ საზოგადოებამ გახსნა თბილისში პირველი ქართული სათავადაზნაური სკოლა, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა. იაკობი წლების მანძილზე ამ სკოლის გამგებელი კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე იყო. მან შეადგინა ამ სკოლის წესდება, სასწავლო გეგმა, პროგრამები, მზრუნველთან წარსადგენი მოხსენებითი ბარათი და სხვა.

ძალიან მნიშვნელოვანია იაკობის მონაწილეობა და ღვაწლი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნების საქმეში. ოცი წლის განმავლობაში იგი იყო ამ საზოგადოებიის გამგეობის წევრი (1901 წლამდე), საპატიო წევრი (1890), ხშირად თავჯდომარე და ა.შ. მან ჯერ კიდევ სიცოცხლეში თავისი მთელი წიგნებისა და სახელმძვანელოების გამოცემის უფლება ამ საძოგადოებას გადასცა და სიკვდილის შემდეგ თავისი უძრავ-მოძრავი ქონება ანდერძით მასვე დაუტოვა. იგი თავის დანაზოგებს არ იშურებდა ღარიბი სტუდენებისთვის, ეხმარებოდა გაჭირვებულ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. საკუთარი თანხით აჯილდოებდა კარგი წიგნი ავტორებს, ასევე ეხმარებოდა ხელმოკლე მწერლებს, პედაგოგიურ ჟურნალ „განათლებას“ და სხვა. დიდია იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებისა და გამოცემის საქმეში. ის იყო ერთ-ერთი პირველი ვინც, გადააღებინა ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები.

“იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა 72 წლის ასაკში 1912 წლის 1 (14) ივნისს. მისი დასაფლავება გრანდიოზულ დემონსტრაციად იქცა. გაზეთები წერდნენ, რომ დ. ყიფიანისა და ი. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ერს ასეთი დანაკლისი არ განუცდიაო. იგი დაასაფლავეს მწერეალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. 1940 წელს, დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ნეშტი მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.“[7]

[7]პედაგოგიკის ისტორია, ნ. ვასაძე, თბილისი 1998 წელი, გვ. 290-291

ილია ჭავჭავაძე (1837-1907) ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი პუბლიცისტი, ორატორი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, იურისტი, ისტორიკოსი და რაც ჩვენთვის კონკრეტულად მნიშვნელოვანია – დიდი პედაგოგი იყო. ილია თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე დაინტერესდა მოზარდი თაობის აღრზდისა და სწავლა განათლების პრობლემებით. პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დეფინიცია პირველად მან მოგვცა. „პედაგოგია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ყმაწვილების აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ... არსებობს მეცნიერება – პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა“.[8]

ილია სწავლ-განათლებას და მეცნიერებას ცხოვრების გარდაქმნის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ყველა საშვალებით შთააგონებდა ახალგაზღდობას, რომ „.... ცოდნა ყველაერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზნებზედაც უფრო ძლიერია“.[9] ილიას პედაგოგიურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხურობის პრინციპს, რომელიც გულიხმობს საწავლა-აღზრდის შესაბამისობას ხალხის ტრადიციებთან, ცხოვრების მოთხოვნებთან და, რაც მთავარია, მშობლიურ ენაზე სწავლებას. მისი აზრით, აღზრდამ უნდა უზრუნველოყოს ადამიანის მომზადება ცხოვრებისთვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ილიას მასწავლებლების შესახებ: **„მზდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“**, - ამბობს იგი. მისი მოვალეობა მეტად საპატიოა და ამავე დროს რთული. ამ სირთულეს განაპირობებს ის, რომ **„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხს ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა მსხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი“.**[10]

---

[8]ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხძულებანი, თბ., 1938 გვ. 136-137.
[9]ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხძულებანი, თბ., 1938 გვ.21
[10]ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხძულებანი, თბ., 1938 გვ. 84

ილიამ არა ერთი პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა ქალთა დანიშნულებისა და განათლების საკითხს და ამით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ მოძრაობის გაძლიერებას, რომლის შედეგად გაფართოვდა ქალთა გიმნაზიების ქსელი, დაარსდა უმაღლესი კურსები და დაიწყო უნივერსიტეტებში ქალთა მიღება.

ილია კარგად იცნობდა პედაგოგიკის კლასიკოსთა მემკვიდრეობას და შემოქმედებითად, ეროვნული პირობების გათვალისწინებით იმარჯვებდა მას. მის მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებში გვხვდება იან ამოს კომენსკის, ჟან-ჟაკ რუსოს, იოჰან ჰენრიხ პესტალოცის და სხვა გამოჩენილი პედაგოგების სახელები, ციტატები, მათი შეფასება და ანალიზი.

“ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები დღესაც ნაყოფიერად ემსახურება ქართველი ახალგაზრდობის სწავლების, განათლებისა და აღზრდის საქმეს, ამიტომ ამ იდეების შესწავლას არა მარტო ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, არამედ დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულებაც აქვს”.[11]

აკაკი წერეთელი (1840-1915) იყო დიდი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ის დიდ ყურაღებას აქცევდა ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის დაფუძნებას ხალხურობის პრინციპზე. გარდა მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილებისა, მისი რამდენმე ლიტერატურული ნაწარმოები ახალგაზრდა თაობის აღზრდის თემებისადმია მიძღვნილი („გამზრდელი“, „მტირალი დედა“, „პატარა ტარიელი“ და სხვა). აკაკის პედაგოგიურ გამონათქვამებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს. ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდასა და ჭეშმარიტ განათლებაში ის დიდ როლს აკუთვნებს მშობლბსა და აღმზრდელებს. მისი აზრით, ახალგაზრდობის მორალური მოვალეობაა, რომ საკუთარი ცოდნა, გამოცდილება, უნარი მთლიანად მშობლიურ ქვეყანას და ხალხს მოახმაროს.

---

[11]პედაგოგიკის ისტორია, ნ. ვასაძე, თბილისი 1998 წელი, გვ.267

მას პროგრესული აზრები აქვს გამოთქმული ქალთა სწავლა-აღზრდის შესახებ. საზოგადოებრივ-ეროვნულ სარბიელზე ქალს დიდი დანიშნულება აქვს და მათი სათანადოდ სწავლა განათლებისთვის განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ, - მიუთითებდა იგი. ეს საჭიროა არა მარტო მხოლოდ ქალისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის, რადგან ქალია პირველი აღმზრდელი თავისი შვილებისა და იმაზე, თუ როგორ არის ის ამისთვის მომზადებული, დამოკიდებულია ერის მომავალი.

მნიშვნელოვანია მისი მოსაზრებები ახალგაზრდობის შრომითი მომზადების, დისციპლინის, საოჯახო აღზრდის შესახებ და სხვა. დიდ მოთხოვნებს უყენებდა აკაკი მასწავლებელს, აღმზრდელს, ამ პრობლემას მიუძღვნა მან თავისი შესანიშნავი პოემა „გამზრდელი“, რომელშიც გვიჩვენა აღმზრდელის დიდი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი მოვალეობა.

“აკაკი წერეთელის პედაგოგიურ იდეებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. მის ბევრ მოსაზრებას დღემდე არ დაუკარგავს თეორიული და პრაქტიკული ღირებულება”.[12]

მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წლის 15 მაისს დაარსეს. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართველ საზოგადოებაში გაძლიერდა აზრი გლეხობაში სწავლა-განათლების დედა-ენაზე შეტანისა და ამ მიზნით, წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა. ეს აზრი განსაკუთრებით მომწიფდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ მოწინავე ქართველები: იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გეგე მაღალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი. ამ ჯგუფს 1870 წლიდან შეემატნენ ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი. წესდების ნიმუშის შოვნა დაავალა ვახტანგ თულაშვილს. თულაშვილმა რაღაც მიზეზების გამო რუსეთიდან დაგვიანებით მიიღო წესდება, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ დიმიტრი ყიფიანთან

[12]პედაგოგიკის ისტორია, ნ. ვასაძე, თბილისი 1998 წელი, გვ. 270

მიიტანეს გადასამუშავებლად, თუმცა გოგებაშვილი ავადმყოფობის გამო მალევე გამოეთიშა მუშაობის პროცესს.

1878 წლის 30 იანვარს სხდომაზე, რომლის თავჯდომარეც იყო გრიგოლ ორბელიანი წაიკითხეს წესდების პროექტი, რომლის წარდგენა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში დაევალათ დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძესა და ბესარიონ ღოღობერიძეს. 1879 წლის 31 მარტის წესდებით საზოგადოება 1907 წლის მარტამდე მოქმედებდა.

"საზოგადოების დამფუძნებელი სხდომა გაიმართა 1879 წლის 15 მაისს. საზოგადოებისა და გამგეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დ. ყიფიანი, მის მოადგილედ ი. ჭავჭავაძე, წევრებად კი ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი და რ. ერისთავი. 1882-85 წ.წ. თავმჯდომარე იყო ი. მუხრანსკი. 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ი. ჭავჭავაძე. ახლადარჩეული გამგეობის წევრები იყვნენ ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. ქართველიშვილი, გ. იოსელიანი, ა. მირიანაშვილი, ნ. ცხვედაძე, ვ. ყიფიანი, ვ. გაბაშვილი, ნ. ჩოლოყაშვილი, ა. ფურცელაძე, ა. ჭყონია. აღნიშნულ პერიოდში საზოგადოების მდივნები იყვნენ ი. მეუნარგია, გ. ყიფშიძე, ა. სარაჯიშვილი, დ. კარიჭაშვილი".[13]

საზოგადოებისისათვის თბილისში, სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში იმართებოდა სხვადასხვა ხასიათის საქველმოქმედო საღამოები, წარმოდგენები და სხვადასხვა ღონისძიებები. ბევრი ქართველი მწერალი თავის თხზულებათა გამოცემას სწირავდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ცნობილმა მეცენატებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა და დავით სარაჯიშვილმა დიდძალი თანხა შეიტანეს საზოგადოების სალაროში. თბილისის საადგილმამულო ბანკმა (რომლის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე იყო) 11 ათასი მანეთი ჩარიცხა საზოგადოების ფონდში; ასეთივე თანხა გაიღო ქუთაისის ბანკმა, რომლიდანაც 8 ათასი მანეთი გადაინახეს ქუთაისში ქართული სათავადაზნაურო სკოლის მოსაწყობად.

---

[13]ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
http://ka.georgica.ac.ge/isi/ქართველთა_შორის_წერა-კითხვის_გამავრცელებელი_საზოგადოება_(S_ფონდი)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებამ თავიდანვე შეისწავლა სკოლების მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და აღრიცხა სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა, დაიწყო ზრუნვა თბილისში, საქართველოს ტერიტორიაზე და მის გარეთაც სკოლების დაარსებაზე. სკოლები დაარსდა თბილისში, ქუთაისში, სენაკში, ხელთუბანში, გომარეთში, თიანეთში, რეხში და სხვაგან. საზოგადოების წევრები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ქართული წეს-ჩვეულებები და ენა პირველ რიგში იქ აღორძინებულიყო, სადაც დავიწყებას იყო მიცემული. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდ სამუშაოს ასრულებდა, იმისთვის რომ სკოლები მოემარაგებინათ სასკოლო სახელმძღვანელოებით, დაფებით, ავეჯით. გამოსცემდა სახელმძღვანელოებს მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, აგრეთვე, წიგნებს ფართო მასებში გასავრცელებლად. ქართული წიგნები ეგზავნებოდა საზღვარგარეთ მყოფ ქართველობასაც.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ასევე მუშაობდა იმისთვის, რომ ბიბლიოთეკების ქსელი შეექმნათ, სადაც ქართველები მონდომებით ეუფლებოდნენ ცოდნას. მან საფუძველი ჩაუყარა დიდ წიგნსაცავს და დროთა განმავლობაში აქ თავი მოუყარა არა მარტო ნაბეჭდ, არამედ ხელნაწერ წიგნებს, საბუთებს და ისტორიული მნიშვნელობის სხვა სახის წერილობით ძეგლებს. ამ გზით საზოგადოების წიგნსაცავში აღმოჩნდა და დაღუპვასა და განიავებას გადაურჩა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი წყარო. ეს მასალები საზოგადოებამ ნაწილობრივ კერძო პირებისაგან შეიძინა, ნაწილი შემოწირულობის სახით მიიღო. საზოგადოება ზრუნავდა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობასა თუ ღარიბ სტუდენტებზე, შეძლებისდაგვარად უნიშნავდა მათ სტიპენდიებს.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დახვეწის მიზნით გაატარეს ქართული დამწერლობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომლის შედეგადაც ქართული ანბანიდან ამოიღეს 5 მოძველებული, არქაული ასო-ნიშანი, რომელიც ცოცხალ ქართულ ენაში აღარ გამოიყენებოდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ

თითქმის ნახევარი საუკუნე იარსება და დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სწავლა-განათლებისა და კულტურის განვითარებას. ამ ხნის მანძილზე იგი თანდათან იზრდებოდა და თავისი განყოფილებებით მთელ საქართველოში მოქმედებდა. საზოგადოებამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებას. 1927 წელს საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა.

1.4. მეოცე საუკუნის 20-30 წლების პედაგოგიური მოღვაწეობა და სამასწავლებლო დაწესებულებები საქართველოში

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში სერიოზული ცვლილებები დაიწყო. 1909 წელს თბილისში, კერძო პირთა ინიციატივით, დაარსდა პირველი უმაღლესი სკოლა - „ქალთა უმაღლესი კურსები“, რომელიც შემდეგ ამიერკავკასიის კერძო ინსტიტუტად გადაკეთდა, იარსება 1920 წლამდე. 1917 წელს, ასევე კერძო ინიციატივით დაარსდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1918 წელს, ივანე ჯავახიშვილის და სხვა ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა ინიციატივით, დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, რომელმაც სათავე დაუდო ეროვნული კადრების მომზადებას საქართველოში. თბილისის პირველი სამასწავლებლო ინსტიტუტი 1919 წელს გადაკეთდა “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგიო ინსტიტუტად”. “1921 წლის 29 ივლისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანდა ერთ პედაგოგიურ ფაკულტეტად, რომელიც გაერთიანების მიუხედავად ორი განყოფილებისაგან შედგებოდა - სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო”.[14] 1922 წლის 30 ივნისს უნივერსიტეტთან არსებული საპედაგოგო ინსტიტუტი გადაკეთდა საპედაგოგო ფაკულტეტის ინსტიტუტად და მისი კურსის გავლა სავალდებულო იყო იმ

[14] ქ. ჭკუასელი, მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში, Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) გვ. 42.

სტუდენტებისათვის, რომლებიც პედაგოგობას აპირებდნენ. აღნიშნულ ინსტიტუტთან გაიხსნა ე.წ. მთლიანი შრომის სკოლის ტიპის საცდელი სკოლა, რომლსაც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. დ. უზნაძე. 1923 წლის ბოლოს ინსტიტუტი დაიხურა და სტუდენტთა უმეტესობა პედაგოგიურ ფაკულტეტზე გადავიდა.

1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თსუ-ს რეორგანიზაცია. მის ბაზაზე შეიქმნა 4 სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი. მათ შორის პედაგოგიური ინსტიტუტი. "1930-1931 სასწავლო წელს პედაგოგიურ ინსტიტუტს, ჩამოყალიბების დროს, 6 ფაკულტეტი ჰქონდა: ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო-ბიოლოგური და გეოგრაფია-გეოლოგიური. შემდგომში დაემატა: ენისა და ლიტერატურის (ქართული და ევროპული), საზოგადოებრივ-ეკონომიური (ფილოსოფიურ-ისტორიული და ეკონომიური განყოფილებებით), ფილოლოგიურ- პედაგოგიური (პედაგოგიური, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის განყოფილებებით), სახვითი ხელოვნების".[15]

უნივერსიტეტის ბაზაზე ინსტიტუტების შექმნამ ფუნდამენტური მეცნიერების დარგში მომუშავე ძალთა დაქსაქსვისა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფერხების საფრთხე წარმოშვა. საბედნიეროდ, ყველაფერი მალე ჩადგა თავის კალაპოტში. 1933 წლის 8 იანვარს მიიღეს დადგენილება, რომლის საფუძველზეც საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და ნაწილობრივ პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე მოეწყო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჯერად სწავლების ვადა განისაზღვრება 4-5 წლით და შეიქმნა 5 ფაკულტეტი სხვადასხვა განყოფილებებით და სექციებით (სულ 24 სექცია). უნივერსიტეტში, 1930 წლიდან ცალკე ერთეულად არსებული პედაგოგიკის კათედრა 1933 წლიდან ემსახურება ყველა ფაკულტეტს და შესაბამისად, ვინც უნივერსიტეტს ამთავრებდა ყველას ენიჭებოდა მასწავლებლის წოდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თითქმის გახსნის დღიდან, მასწავლებელის მომზადებას ემსახურება სპეციალური ფაკულტეტი და მისი წოდება ენიჭება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამ

[15]ქ. ჭკუასელი, მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში, Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) გვ. 42-43.

ფაკულტეტს გაივლიან. იმ დროინდელ მსოფლიოში არსებული მასწავლებლის მომზადების სისტემებიც სწორედ ასეა მოწყობილი. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის და მათ შორის საქართველოს განათლების სისტემაც ძირეულად იცვლება. მასწავლებლის მომზადების სისტემაც განსხვავებულია მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების სისტემებისაგან, სადაც მასწავლებლებს ამზადებენ უნივერსიტეტებთან არსებული სპეციალური ფაკულტეტები, განყოფილებები და კოლეჯები და მასწავლებლის კვალიფიკაცია ენიჭებათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც თავიანთი სურვილის შესაბამისად გაივლიან აღნიშნულ ფაკულტეტებსა და კურსებს.

"1933 წელს მთავრობის დადგენილებით პედაგოგიური ინსტიტუტი გადატანილ იქნა ქუთაისში. ინსტიტუტში შეიქმნა შემდეგი განყოფილებები:

1. ფიზიკა-მათემატიკური განყოფილება;

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება;

3. ისტორიულ-ლიტერატურული განაყოფლება;

4. პედაგოგიურ-პედოლოგიური განყოფლება.

სწავლების ვადა პედაგოგიურ ინსტიტუტში 4 წლით განისაზღვრა."[16]

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნის შემდეგ საქართველს მთელ ტერიტორიაზე პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსდა. "კერძოდ, გაიხსნა ცხინვალის (1932 წ), სოხუმის (1932 წ), თბილისის (1935 წ, პუშკინის სახელობის), ბათუმის (1935 წ), გორის (1935 წ), თელავის (1939 წ), ზუგდიდის (1939 წ, იარსება 1952 წლამდე), პედაგოგიური ინსტიტუტები, თბილისის სომხურ-აზერბაიჯანული სამასწავლებლო (1939 წ, რომელიც შემდგომ შეუერთდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებს)".[17] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს პედაგოგიური ინსტიტუტები უნივერსიტეტის დახმარებით დადგნენ ფეხზე. წლების განმავლობაში, უნივერსიტეტის ხანდაზმული

[16]ქ. ჭკუასელი, მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში, Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) გვ. 43.
[17]ქ. ჭკუასელი, მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში, Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) გვ. 43.

პროფესორ-მასწავლებლები კვირებს მოგზაურობაში ატარებდნენ და დაუზარებლად ემსახურებოდნენ მომავალი მასწავლებლის აღზრდის საქმეს სხვდასხვა ქალაქებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ ინსტიტუტებისათვის პროფესორ-მასწავლებელთა მომზადების საქმეშიც. ხოლო თავად უნივერსიტეტში, მასწავლებელთა მომზადების საქმეს 1933 წლიდან ემსახურებოდა პედაგოგიკის კათედრა. როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, საბჭოთა პერიოდის საქართველოში და ზოგადად მთელ საბჭოთა კავშირში საშუალო სკოლის მასწავლებლებს ამზადებდნენ უნივერსიტეტები და პედაგოგიური ინსტიტუტები.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ მასწავლებლის პროფესიული მომზადება სკოლამდელი აღზრდის სექტორისათვის. XX საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოს იმჟამინდელმა სახალხო განათლების კომისარიატმა თბილისსა და სხვა ქალაქებში დააარსა პედაგოგიური სასწავლებლები. ამ ასწავლებლებს უნდა მოემზადებინათ სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელები და დაწყებითი კლასების მასწავლებლები. საქართველოში ასევე არსებობდა პედაგოგიური ტექნიკუმები (თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი), რომლებიც ამზადებდნენ დაწყებითი სკოლისა და არასრული საშუალო სკოლის (IV-VIII) ფიზკულტურის, ხატვისა და ხაზვის მასწავლებლებს, პროფესიული სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატებს. ამ სასწავლებლებში ირიცხებოდნენ საშუალო სკოლა და რვაკლასდამთავრებულები. რვაკლასდამთავრებულები 3-4 წელი სწავლობდენენ, პარალელურად ეუფლებოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსს. საშუალო სკოლადამთავრებულები 2 წელი სწავლობნენ. პედაგოგიური ტექნიკუმების კურსდამთავრებული გადაეცემოდა დიპლომი, ამის შემდეგ მას ჰქონდა უფლება ემუშავა შესაბამის თანამდებობაზე, ან გაეგრძელებინა სწავლა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში კონკურსში მონაწილეობის შედეგად. შემდგომში პედაგოგიური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მათი ფუნქცია პედაგოგიურ ინსტიტუტებს დაეკისრა.

დასკვნისათვის, განხილულ ლიტერატურაში ცალსახად ჩანს მასწავლებლობის განვითარების გზა და პედაგოგიკური მოძღვრების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების საფუძველი. ასევე ნათლად ჩანს, როგორი სირთულით სავსე, მაგრამ ამავდორულად საპატივსაცემოა მასწავლებელთა და განამანთლებელთა ცხობრების გზა და მოღვაწეობა.

2. მასწავლებელთა მომზადების სისტემის ისტორიული მიმოხილვა

2.1. მასწავლებლის პროფესიის ჩამოყალიბების ეტაპები

განათლების სისტემის ამა თუ იმ მოდელის პირველყოფილი, ადრეკლასობრივი თუ მონათმფლობელური საზოგადოებრივი ფორმაციების წიაღში ძიება, რა თქმა უნდა, არამართებულია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისტემის თანამედროვე შინაარსი და გააზრება აბსოლუტურად არ ერგება იმდროინდელი საგანმანათლებლო პროცესების ხასიათს. თუმცა, ვფიქრობთ, თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოვადგინოთ განათლების სისტემის იდეის ერთგვარი რეტროსპექტივა ქართულ სინამდვილეში პირველი საუკუნიდან დაწყებული, ვიდრე საბჭოთა კავშირის განათლების სისტემის პერიოდამდე. აღზრდის პროცესი ადამიანის დაბადების კვალდაკვალ იწყება და ვითარდება. აღზრდის პროცესის სპეციალურად ორგანიზებულ სივრცეში/ დაწესებულებაში წარმართვამდე (3-5წელი) ბავშვის აღზრდა, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს და ამას აქვს როგორც სტიქიური, ასევე ოჯახის წევრების ღირებულებითი და მსოფლაღქმითი დამოკიდებულების, საკუთარი მენტალური კულტურის კონკრეტული ქმედებებით გადაცემის ხასიათი. აღნიშნული ხედვა ნაკარნახევია პედაგოგიკის მეცნიერების პრიზმიდან, რომელიც ცალსახად განმარტავს, რომ აღზრდის პროცესი სწორედ კულტურის გადაცემით ხორციელდება. რაც შეეხება საკითხს იმ მექანიზმების შესახებ, რომელთა საშუალებითაც შეიძლება კულტურის გადაცემა მომავალი თაობებისათვის ანუ აღზრდა, მისი განსაზღვრაც ასევე ცალსახაა – ,,აღზრდა, როგორც პროცესი, თავისი ზოგადი გაგებით, განათლებასა და სწავლებას გულისხმობს”[18]. განათლებაში მოიაზრება ზემოაღნიშნული გადასაცემი კულტურის ანუ ცოდნის შეძენის როგორც პროცესი, ისე შედეგი. ხოლო სწავლებაში (რომელიც, თავის მხრივ, ორმხრივი პროცესია, გადაცემისა და რეცეპიენტის მიერ შეთვისების) - ის

[18] პედაგოგიკის საფუძვლები - ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, 2012 9 გვ.

გზები და საშუალებები, რომლითაც განათლება გადაეცემა ადამიანს. შესაბამისად, მშობელი თუ მეურვე თავიდანვე თავისი კულტურის შინაარსითა და მისთვის მისაღების შემეცნების ფორმების საშუალებით ახორციელებს ბავშვის აღზრდას. აქედან გამომდინარე, საბავშვო ბაღსა თუ სკოლას, ხშირ შემთხვევაში, არათუ აღზრდის პროცესის წარმართვა, არამედ მანამდე აღზრდისას დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომების გამოსწორებაზე მუშაობაც უწევს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების სისტემის ჩამოყალიბების ისტორიაზე საუბრისას ჩვენს ამოსავალ ღერძს წარმოადგენს არა აღზრდის პროცესი, როგორც ყოფითი, საზოგადოებრივი პროცესების კონტექსტი (ვთქვათ, ოჯახი, მეგობრები, უახლოესი სოც. გარემო და ა.შ.), არამედ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, რომელიც მტკიცედ ორგანიზებულ გარემოში მიმდინარეობს. მართალია, საქართველოში სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ერთიანობა, სახელმწიფოს მიერ დადგენილ გარკვეულ პრინციპზე, არ გვაქვს მრავალი საუკუნის განმავლობაში, თუმცა, ვფიქრობთ, აღნიშნულ თავში წარმოვადგინოთ იმ ძირითადი ისტორიული ფაქტების ანალიზი, რომლებიც მეტნაკლებობით ცხადყოფენ სახელმწიფოს მონაწილეობას თუნდაც სასკოლო სისტემის შექმნის საქმეში. საქართველოს სახელმწიფოს შენების ადრეულ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ზედმეტია საუბარი განათლების სისტემურ მოწყობაზე, თუმცა აღზრდის პროცესი მაინც მიმდინარეობს გარკვეული კანონზომიერებით. როგორც ვიცით, განათლების სისტემური ხაზი გულისხმობს სკოლამდელი განათლების, საშუალო სკოლისა და უმაღლესი სკოლის უწყვეტი ჯაჭვის არსებობას, რისი ძებნაც საქართველოს ისტორიის კონტექსტში, რა თქმა უნდა, არამართებულია. საქართველოს სახელმწიფომ განვითარების რთული გზა გაიარა, მუდმივი გარე და შიდა ომები, სხვადასხვა დამპყრობის საუკუნოვანი ბატონობა და მორჩილება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს ქვეყნის განვითარებას. შესაბამისად, ეს სირთულე განათლების მიმართულებითაც აისახა და მოგვცა ის რეალობა, რომ კლასიკური გაგებით განათლების სისტემა ქართულ სახელმწიფოს რუსეთის მიერ ჩვენს ანექსირებამდე არ ჰქონია. მაგრამ ფაზისის უმაღლესი რიტორიკული სკოლის,

სამონასტრო კომპლექსებში განხორციელებული მწიგნობრული ცოდნის დაგროვება-გავრცელების პროცესის და, შემდეგ ეტაპზე, ვახტანგ მეექვსისა თუ იოანე ბატონიშვილის მოღვაწეობის მაგალითზე, ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვისაუბროთ ქართული განათლების სისტემის წანამძღვარზე. განათლების სისტემის ქართული მოდელის შესახებ მსჯელობა, ვფიქრობთ, მაინც არის შესაძლებელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც იწყება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა – ქართული განათლების სისტემის ფაქტობრივი შექმნის მნიშვნელოვანი პრეცენდენტი. უნდა აღინიშნოს, რომ 1879 წელს ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ - პედაგოგიური მოძრაობა - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რუსეთის მთავრობის მავნებლურ საგანმანათლებლო პოლიტიკას დაუპირისპირდა. მისმა მესვეურებმა - გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა, მწერლებმა და პედაგოგებმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ქართული სკოლების გახსნა და გახსნილი სკოლებისთვის დახმარების გაწევა დაისახეს. მათი წესდების მიხედვით, საზოგადოებას უფლება ჰქონდა დაეარსებინა სამკითხველოები და ბიბლიოთეკები, ასევე მოეწვია სკოლებისათვის გამოცდილი მასწავლებლები, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნებისათვის გაეხსნა კურსები, ჩაეტარებინა მათთვის შეკრებები, ასევე, გამოეცა ქართულ ენაზე საყმაწვილო წიგნები და სახელმძღვანელოები. საზოგადოებამ სულ გახსნა 33 სკოლა. მათ შორის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ახალი ტიპის სკოლის შექმნა. წინამძღვრიშვილის სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაარსდა საზოგადო მოღვაწის, მწერლის ილია წინამძღვრიშვილის ინიციატივითა და ხარჯით. 1883 წელს. მისი გახსნა მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო, რადგან წარმოადგენდა ამ პროფილის ერთადერთ სასწავლებელს ამიერკავკასიაში (რა თქმა უნდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია ორგანიზაციის უდიდესი დამსახურება ქართული ენის, ქართული სასკოლო სისტემისა და, ზოგადად, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში.). ცხადია, სასკოლო სისტემის შექმნა ვერ იქნება ტოლფასოვანი განათლების სისტემის შექმნისა, თუმცა, განათლების სისტემის მოწყობის ქართული ეროვნული იდეა აშკარად და მკაფიოდ გაცხადდა ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის შედეგად.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლების სისტემა - დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან, დამთავრებული უმაღლესი სკოლით, რა თქმა უნდა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში და, მით უფრო, არც საქართველოში არსებობდა. მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იკვეთება ჩვენს სინამდვილეში რეალური სისტემური მოწყობა, სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული საგანმანათლებლო პოლიტიკა განათლების მიმართულებით, ასევე, შეიქმნა სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებები და გარკვეული ერთიანი სასწავლო პროგრამა. ეს კი აშკარად მიუთითებს ერთგვარი განათლების სისტემის არსებობაზე. სამწუხაროა, რომ ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით, საქართველოს არ დასცალდა შეექმნა საკუთარი, ეროვნული ხედვით ნაკარნახევი სისტემობრივი მოდელი, რომელიც ქართულ ეთნოფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე იქნებოდა აგებული და თავად განსაზღვრავდა საკუთარი მოქალაქის აღზრდის ეროვნულ კონცეფციას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რუსეთის განათლების სისტემის პარალელურად, ფაქტობრივად, ,,იტვირთა განათლების დარგში ქართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ქართული განათლების სისტემის როლი, და უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოების ყველა წევრის რაციონალური, მიზანმიმართული და უანგარო მოღვაწეობის შედეგად მან შთამომავლობას შეუნახა ქართული ენა, ქართული დამწერლობა და მთელი ქართული კულტურა. ამდენად, ამ ორგანიზაციას, რომელიც ამასთან მიმართებით ოპონირების კონტექსტში შეიძლება ნახსენები იყოს 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება და გატარებული პოლიტიკა, თუმცა, როგორც ისტორია უწყებს, ეს მოდელი, ისევე როგორც კონსტიტუცია და საკანონმდებლო ბაზა, მათ **გერმანულ მოდელზე** ჰქონდათ შემუშავებული. 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული განათლების საქმეს, თამამად შეიძლება ეწოდოს განათლების სისტემა“[19].

დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან მოყოლებული, საქართველოს განათლების სისტემა მუდმივ ცვლილებებსა და რეორგანიზაციულ - სარეფორმო ციებ-

[19]პედაგოგიკის საფუძვლები - ი.ჭკუასელი; ქ. ჭკუასელი 2012.

ცხელებაშია. ყველა პროცესი ინერციული და სპონტანური გადაწყვეტილებების ფონზე მიმდინარეობს. ხოლო 2004 წლიდან რეალურად ჩამოყალიბდა სისტემის რეფორმისა და განვითარების სტრატეგიული ხედვა. სახელმწიფოში შემუშავდა ერთიანი საგანმანათლებლო პოლიტიკა, შეიქმნა პირველი განათლების პოლიტიკის დოკუმენტი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ასევე შეიცვალა სისტემის მართვის, დაფინანსებისა და ხარისხის მართვის მოდელები და განათლების სისტემის სტრუქტურა. გაიწერა სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეობის პრინციპები განათლებაში - სახელმწიფოს განათლების პოლიტიკას განსაზღვავს საქართველოს პარლამენტი და მთავრობა, ხოლო გამტარებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეიმუშავებს რეგულირების და პოლიტიკის აღსრულების ცალკეულ წესებს როგორც საკუთრივ სისტემის ორგანოების, ასევე სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის. შესაბამისად, საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურული კომპონენტებს წარმოადგენს:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებანი - საბავშვო ბაღები და ბაღები
- ყველა ტიპის სკოლა: ზოგადსაგანმანათლებლო - დაწყებითი, საბაზო, საშუალო და უმაღლესი სკოლა;
- სახელობო და უმაღლესი პროფესიული სასწავლებლები

სკოლამდელ განათლება საქართველოში გულისხმობს 2 – დან 6 წლამდე ბავშვის აღზრდას. დეცენტრალიზაციის რეფორმის შედეგად სკოლამდელი განათლების სისტემა ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაარსებაზე, მისი წესდების, მართვისა და დაფინანსების პრინციპების შემუშავებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობა. შესაბამისად, აღნიშნული სფერო რეგულირდება საქართველოს კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადგილს სკოლამდელ განათლებაში, უნდა აღინიშნოს, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამდელი განათლება ზოგადი განათლების წინმსწრები ეტაპია, რომელიც დიდად განსაზღვრავს მომავალში ბავშვის პიროვნებად

ჩამოყალიბებას, მის ინტელექტუალურ, ფიზიკურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რა თქმა უნდა, განისაზღვრა სამინისტროს თანამონაწილეობის ნიშაც - დაარსდა სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველო, რომელსაც სკოლამდელი განათლების პოლიტიკის დოკუმენტისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა ევალება. უშუალოდ მისი მონაწილეობით შეიქმნა მეთოდური სახელმძღვანელოები სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელთა და სპეცილისტთა დასახმარებლად, ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, სკოლამდელი ასაკის ბავშვის შეფასების ფორმა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი და ა.შ. შემუშავდა საბავშვო ბაღის აღმზრდელთა გადამზადების პროგრამა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შექმნილი აღმზრდელთა მომზადების ერთიანი პროგრამა, რომელიც ცენტრალიზებული გზით უნდა განახორციელოს ყველა უნივერსიტეტმა.

აღსანიშნავია, რომ ყველა დროისთვის დამახასიათებელი განათლების სისტემაში ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია და მის დაუღალავ საქმიანობას მიაწერენ წარმატებული ადამიანების მიერ შექმნილ დოვლათსა და ღვაწლს. შესაბამისად, მასწავლებელი არდეული პერიოდიდან ითვლება საპატივსაცემო და მაღალი ზნეობის მატარებელ პიროვნებად, რომელიც მიღებული და აღიარებულია საზოგადოებაში. მასწავლებლობა ქალთა პროფესიად ითვლება და სწორედ დედის მხრიდან აღმზრდელობითი ფუნქციის აღსრულების თანამოწილედ თვლიან მასწავლებელს. უამრავი სახოტბო ლექსი ადასტურებს მასწავლებლისადმი პატივისცემას, მის ზნეობრივ ბუნებას და ბავშვისადმი, აღსაზრდელისადმი სიყვარულსა და თავდადებას. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით სახე იცვლა მასწავლებელმაც და მისდამი დამოკიდებულებაც შეიცვალა, ჩვენი კვლევა სწორედ მიეძღვნა მასწავლებლის პროფესიისადმი დამოკიდებულების გააზრებას და პროფესიის პრესტიჟის ინდიკატორების შემუშავებას.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია; კვლევის მიზანი და შერჩევა

კვლევის ფორმატში მოხდა მასწავლებლის პროფესიის განავითარების ისტორიული გზის შესწავლა ევროპის და საქართველოს საგანამანათლებლო სისტემების მაგალითზე, შევისწავლეთ იმ ადამიანთა ღვაწლი, რომელთა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა განათლების სისტემის ფორმირების პროცესში და თავად დაუდო დასაბამი პროფესიის განვითარებას. შესაბამისად, ლიტერატურის მიმოხილვამ ცხდად დაგვანახა სირთულეები პროფესიის განვითარების გზაზე, რა გზა გაიარა მასწავლებლის მომზადებამ და არსებული ისტორიული მემკვიდრეობის გათვალისიწნებით, დადგა აუცილებლობა ვიკლვლიოთ რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში.

მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით შეირჩა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, ინტერესის სფეროს წარმოადგენს რას ფიქრობენ ახალგაზრდები, რომლებსაც ჯერ არ აურჩევიათ სამომავლოდ პროფესია და წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით შევისწავლეთ მათი მოსაზრებები.

წინასწარ შემუშავდა კითხვარი, რომელიც მოიცავდა 5 საკვანძო კითხვას დახურული დაბოლოებით. შერჩევის დონეზე შევარჩიეთ ქ. გორის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, რომლებიც პოტენციურად პროფესიის შერჩევის ეტაპზე არიან. კითხვარების პილოტირება და გამოცდა განხორციელდა საექსპერტო ჯგუფთან. კითხვარის საბოლოო ვერსიის შემუშავების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფთან შედგა შეხვედრა კვლევის ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ:

- გამოკითხვის ეტაპზე უზრუნველვყავით ჩართული მხარეების ნებაყოფლობითი მონაწილეობა, ანუ ინფორმირებული თანხმობა, რადგან კვლევა ადამიანთა პირად ცხოვრებაში შეჭრას გულისხმობს და მათგან გარკვეული დროისა და ენერგის დათმობას ითხოვს, რესპონდენტების მხრიდან კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო;

- დაცულ იქნა ანონიმურობა და კონფიდენციალობა რესპონდენტების ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვა მათი იდენტურობის დაცვას გულისხმობს, რისი უზრუნველყოფაც ანონიმურობისა და კონფიდენციალობის საფუძველზე ხდება;
- რესპონდენტებისთვის კვლევის მიზნის გამხელა დაუფარავად მოხდა.

კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

I ეტაპზე, მოხდა მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი. ამავე ეტაპზე შემუშავდა ჰიპოთეზეა და კვლევის მიზნისა და ინსტრუმენტების განსაზღვრა;

II ეტაპზე განხორციელდა საკვლევი ინსტრუმენტების აპრობირებით პილოტური კვლევა; ერთის მხრივ საექპერტო ჯგუფთან სამუშაოდ მომზადდა ჩაღრმავებული, ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი, მეორეს მხრივ განისაზღვრა იმ კითხვების ჩამონათვალი, რომლებიც პროფესიის პერსტიჟთან დაკავშირერბით მონაცემების შეგროვებას განაპირობებს.

III ეტაპზე განხორციელდა შერჩევა, **გენერალური ერთობლიობიდან** შეირჩა (ქ. გორის საჯარო სკოლები) ადამიანთა ჯგუფი - **შერჩევითი ერთობლიობა** (ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასი), რომელზეც კვლევის ჩატარება დავგეგმეთ და რომლის შედეგების განზოგადებაც გენერალურ ერთობლიობაზე განხორციელდა. თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა (კვლევის ეთიკის დონეზე მოხდა მათთვის კვლევის მიზნების შესახებ ინფორმირება რა დროსაც უარყვეს კვლევაში მონაწილეობა და 450 რესპონდენტიდან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა 140 რესპონდენტმა) უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე რეალურად გამოკითხულთა ერთობლიობა შეადგენს 140.

IV ეტაპზე მოხდა მონაცემების შეგროვება, რესპონდენტების გამოკითხვა;

V ეტაპზე მოხდა მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია და ჰიპოთეზასთან შესაბამისობის დადგენა.

კითხვაზე შეთავაზებული რამდენიმე პროფესიიდან, რომელი პროფესიებია ყველაზე პრესტიჟული, 140 გამოკითხულიდან, ჩვენთვის საკვლევი მასწავლებლის პროფესიას პრესტიჟულად მიიჩნევს გამოკითხულთაგან 10 მათ შორის 3 არის ვაჟი, ხოლო 7 გოგონა. **იხ. გრაფიკი 1**



კითხვაზე აპირებენ თუ არა მასწავლებლის პროფესიის არჩევას სკოლის ეტაპის დასრულების შემდეგ, 140 გამოკითხულიდან 132 რესპონდენტმა გასცა უარყოფითი პასუხი, მ. შ. 65 გამოკითხულმა გოგონამ და 67 ვაჟმა უარყო მასწავლებლის პროფესიის არჩევა. მხოლოდ გამოკითხულთაგან 8 რესპონდენტმა, მ. შ. 7 გოგონამ და 1 ვაჟმა გამოხატა სურვილი მასწავლებლის პროფესიის არჩევის. **იხ. გრაფიკი №2**



აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მათ ერთდროულად რამდენიმე პროფესიის არჩევის შესაძლებლობა ჰქონდათ.

კითხვაზე, ურჩევდნენ თუ არა სხვას, მასწავლებლის პროფესიის არჩევას, 140 გამოკითხულიდან 97 რესპონდენტმა გასცა უარყოფითი პასუხი, მ.შ. 47 გოგონა და 50 ვაჟია, ხოლო 43 რესპონდენტმა დააფიქსირა, რომ ურჩევდნენ სხვას მასწავლებლის პროფესიის არჩევას, მ.შ. 25 გოგონა და 18 ვაჟი ფიქრობს ამგვარად. **იხ. გრაფიკი №3**



კითხვაზე, რა მიზეზები უშლის ხელს მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟლობას, 140 გამოკითხულთაგან 78 რესპონდენტმა, მ. შ. 43 გოგონამ და 35 ვაჟმა დაასახელა, რომ მასწავლებლის პროფესია არ არის დაფასებული, მასწავლებლის პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნების ცვლილება დაასახელა გამოკითხულთაგან მხოლოდ 4 გოგონამ. დაბალი ხელფასის მიზეზით პრესტიჟულობის დაბალი დონე დაასახელა გამოკითხული 140 რესპონდენტიდან 63 რესპონდენტმა, მ.შ. 31 გოგონასა და 32 ვაჟის მიერ; **იხ. გრაფიკი №4**



კითხვაზე რა შეუწყობს ხელს მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ზრდას 140 გამოკითხულიდან 73 რესპონდენტი, მ. შ. 39 გოგონა და 34 ვაჟი მიიჩნევს, რომ მიმზიდველი ხელფასი, საჭიროა პრესტიჟის ზრდისთვის; გამოკითხულთაგან 53, მ. შ, 23 ვაჟი და 30 გოგონა მიიჩნევს, რომ პრესტიჟულობას განაპირობებს სტაბილური სამუშაო გარემო და ის მოთხოვნები, რომლებიც მასწავლებელს აქვს წაყენებული. <u>**იხ. გრაფიკი №5.**</u>



გარდა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისა, მიმოხილულ ლიტერატურაში ვრცლად არის აღწერილი მასწვლებლის პროფესიის ჩამოყალიბების ისტორიული გზა, რომელიც გაიარა კაცობრიობის სხვადასხვა ფორმაციის ეტაპზე მასწავლებლობამ. აღსანიშნავია, რომ განხილული ლიტერატურის მიხედვით, მასწავლებელი დასაბამიდან, უახლოეს წარსულამდე, ითვლებოდა როგორც ცოდნის წყაროდ, ასევე მის გამავრცელებლად, ინფორმაციული და საგანმანათლებლო ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარებამდე. მხოლოდ მას შემდეგ რაც სწავლება-სწავლის პროცესს თან ახლავს ტექნოლოგიების განვითარება და საინფორმაციო საშუალებების გამოყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებელმა თითქმის დაკარგა „ინფორმაციის წაყაროს“ ფუნქცია და შეიძინა ცოდნის შენებისთვის მიმმართველის ფუნქცია, ანუ თითქმის ახალი კომპეტენციის წყალობით მასწავლებელი არაპირდაპირი სწავლების გზით ეხმარება შემსწავლელს თავად მოიპოვოს ინფორმაცია

და მოახდინოს საკუთარი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის მასწავლებელია საჭირო და მოთხოვნადი, რომელიც უკეთ ახერხებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გამოყენებას და მითითებას და ამით ეხმარება მოსწავლეებს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში, შესაბამისად, პასუხი კითხვაზე, რატომ დაკარგა მასწავლებელმა თავისი მნიშვნელობა და რის გამო დაეცა მისი პრესტიჟი, ცალსახად ჩანს, რომ მასწავლებელი აღარ გვევლინება, როგორც ინფორმაციის ერთადერთი წყარო, მოსწავლეები სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით ახერხებენ ინფორმაციის მოპოვებას.

ხაზგასმას საჭიროებს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მეორეული კვლევები, რომლებიც ჩვენ მიერ ჩატარებული პირველადი კვლევის მიგნებებთან კორელაციაშია და ხაზგასმით ადასტურებს, რომ მასწავლებლობა არის საინტერესო კვლევის საგანი სხვადასხვა მიმართულებით.

მასწავლებლის პროფესიას ეძღვნება, მაგალითად სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS), ეს არის საქართველოს მონაწილეობით 2013-2014 წლებში ეტაპობრივად განხორციელებული პირველი საერთაშორისო კვლევა, რომელმაც კომპლექსურად შეისწავლა მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი: პროფესიული განვითარება, შეფასება და უკუკავშირი, **პროფესიითა და სამუშაო ადგილით კმაყოფილება**, მასწავლებლების სკოლაში საქმიანობა, საგაკვეთილო პროცესში სასწავლო სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება, ღირებულებები და დამოკიდებულებები. აღნიშნულ კვლევაში გამოიკვეთა ის კრიტერიუმები, რომლებიც ასევე ზეგავლენას ახდენს მასწავლებლის პროფესიაზე, კერძოდ, კვლევის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლების „სამსახურით კმაყოფილება პროფესიაში დარჩენის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია (Huberman, 1993; Woods et al., 1997). როგორც კვლევა გვიჩვენებს, სამსახურით კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს პროფესიული ავტონომიის ნაკლებობა, ხშირი ცვლილებები, მედია კრიტიკა, რესურსების ნაკლებობა და დაბალი ხელფასი (e.g., Dinham and Scott, 1998, 2000; Vandenberghe and Huberman, 1999). მასწავლებლის პროფესიისადმი დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს

მასწავლებლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაც (Hargreaves, 1994).[20] ყველა ამ საკითხის ხელახალი გადააზრება და თანამედროვე პედაგოგიკის ტენდენციებთან თანხვერდის ხელშეწყობა, სწორედ ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიგნებას წარმოადგენს.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩატარდა მასწავლებლობის, მისი ისტორიული გზის ევროპული და ქართული რეალობის ამსახველი ლიტერატურის ფართო და სიღრმისეული მიმოხილვა. შესწავლილი ლიტერატურა ცხადჰყოფს მასწავლებლის, ზოგადად ამ საქმიაობისადმი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ პოზიტიურ დამოკიდებულებებს, მასწავლებლის პროფესიის დაუფლებისადმი მზარდ ინტერესსა და ტენდენციას, ასევე VIII- IXX საუკუნეებში მასწავლებლობის სურვილის დაკმაყოფილების მიზნით საგანმანათლებლო კერების გახსნის მზარდ ტენდენციას. ლიტერატურის მიხედვით სამასწავლებლო კერებისადმი მოთხოვნის პარალელურად უმჯობესდებოდა საზოგადოების კეთილდღეობა, რასაც საზოგადოებამ ჯეროვანი შეფასება მისცა. სწორედ საზოგადოების მზარდი კეთილდღეობის ავანგარდში იყო ყოველთვის მასწავლებელი და დაუღალავი შრომით ამზადებლდა მომავალი ცხოვრებისთვის თაობებს, რომლებასაც სხვა წყარო, ინფორმაციის მისაღებად, თითქმის არ გააჩნდა. აღსანიშნავია კვალი, რომელიც საბჭოთა წყობილების 70 წლიანმა წყობამ დაასვა მასწავლებლის განათლებას და ზოგადად განათლების სისტემას. აღნიშნული პერიოდის საგანამანთლებლო პროცესის მთავარ ფიგურას მასწავლებელი წარმოადგენდა და ყველაფერი რაც სკოლაში ხდებოდა იყო მასწავლებელზე ორიენტირებული. ჩვენ შემდეგ თავში უფრო ვრცლად მიმოვიხილავთ დეცენტრალიზაციის პროცესს, თუმცა აქვე აღნიშვნის ღირსია, საბჭოთა წყობილების ნგრევის შემდეგ, განათლების სისტემის ყველაზე ამორფული და თითქმის სპონტანური პროცესების შედეგად საქართველოში დამკვიდრდა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, რაც ცვლის მიდგომას მასწავლებლისადმი და თავად მასწავლებელსაც ცვლის.

---

[20]სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS)- გვ.171

3. ოცდამეერთე საუკეუნე როგორც განათლების პარადიგიმის ცვლილების და მასწავლებლის ახალი იმიჯის ჩარჩო

3.1. განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და მისი შედეგები

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ მასწავლებელზე ორიენტირებულ იმ საგანამანთლებლო სისტემაზე, რომელიც ცალსახად საბჭოური განათლების სისტემის განსახირებაა, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს მკვეთრი შეფასებები ამ სისტემასთან დაკავშირებით, როგორი იყო და რა იყო მასწავლებელზე ცენტრირებული საგანამანთლებლო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ, საბჭოთა პერიოდის საგანამანთლებლო სისტემის შესახებ, რომ ის იყო ცენტრალიზებული და ვერტიკალურად სტრუქტურირებული საგანამანთლებლო სისტემა, რომელიც თავის თავში მოიაზრებდა მხოლოდ სამთავრობო დონეზე მართულ, იმ კონკრეტულ პერიოდში საბჭოთა იდეოლოგიისა და მეთოდიკის გამოყენებით მართულ სისტემას, რომლის საშუალებითაც ხდებოდა საზოგადოების ფორმირება. მიუხედავად სისტემის ჩრდილოვანი მხარეებისა, ითვლება, რომ მასწავლებლობა, სწორედ საბჭოთა პერიოდში ითვლებოდა ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად სხვადასხვა მიზეზთა გამო, მალითად როგორიცაა: ხელფასი, ხანგრძლივი საშვებულებო პერიოდი და ასევე არასრული სამუშაო დღე. საბჭოთა პერიოდის მასწავლებლის საგანამანთლებლო ვექტორს სახელმწიფო საზღვრავდა და მკაცრად იდეოლოგიზებული და პოლიტიზებული იყო და ამავე დროს სწორედ სახელმწიფო საგანამანთლებლო პოლიტიკის დონეზე იყო არადემოკრატიული არამედ დირექტიული ხასიათის. მხოლოდ რამდენიმე კრეატული ბუნების ადამიანს შეეძლო საგანამანთლებლო პროცესის წარმართვა ღირებულებებისა და მკვეთრად პოზიტიური დამოკიდებულებების ფონზე.

რას ნიშნავს თავად დეცენტრალიცაცია, რა მნიშვნელობა ქონდა მას განათლების სისტემისთვის და რა მიმართულების განვითარებას უწყობს ხელს დეცენტრალიზაციის პროცესი? დეცენტრალიზაცია თავისი გაგებით ნიშნავს გარკვეული ფუნქციების დელიგირებას სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სუბიექტებზე, მაგალითად სკოლაზე, მასწავლებელზე და სხვა სტრუქტურებზე.

დეცენტრალიზაცია ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. აქ სკოლაში ადგილზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობის ზრდა იგულისხმება, სახელმწიფოს (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება) როლის შემცირების ხარჯზე. დეცენტრალიზაცია ეხება სისტემის ფინანსურ მართვას, ადმინისტრირებასა და სასწავლო პროცესის რეგულირებას.

დეცენტრალიზაციის პირობებში სკოლის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები უფრო ეფექტური, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებულია. სისტემა უფრო დემოკრატიული და გამჭვირვალეა, გადაწყვეტილებაში ჩართული ადამიანები მეტად კმაყოფილნი არიან. რაც ნაკლები ბიუროკრატიული რგოლი მონაწილეობს, მით სწრაფია მართვის პროცესი.

2004 წლამდე ფუნქციონირებდა სისტემა, სადაც სკოლა ხელისუფლებისგან ელოდა გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, თუ რამდენი მასწავლებელი უნდა დასაქმდეს, რამდენი მერხი შეკეთდეს, რამდენი საკონტროლო ჩატარდეს, როგორ ეცვათ მოსწავლეებს და რამდენჯერ წავიდნენ ექსკურსიაზე, რა წიგნებით შეივსოს ბიბლიოთეკა, რამდენი ცარცი, წყალი და ელექტროენერგია დაიხარჯოს, რა ფერის იყოს სკოლის ინტერიერი და როგორი იყოს ბუფეტის მენიუ. მართვის ამგვარი სისტემა სკოლაში პრობლემების გადაჭრის სურვილის დაკარგვას ან შემოვლითი, გაუმჭვირვალე, კორუფციული გზების ძებნას უწყობდა ხელს. სკოლაში დროულად რომ გამოცვლილიყო ნათურა, ხელისუფლების გადაწყვეტილების ლოდინის ნაცვლად, აგროვებდნენ ფულს. რადგან სკოლა სრულფასოვანი დაწესებულება არ იყო, მას არ ჰქონდა საკუთარი საბანკო ანგარიში. ამიტომაც ანგარიში იხსნებოდა კერძო პირის ან სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელზე. ეს იწვევდა მშობლების უნდობლობას, არამიზნობრივ ხარჯვას და სკოლის ავტორიტეტის შელახვას.

რესურსების მართვის გარდა, დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და განხორციელებისთვისაც. მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორიცაა გაკვეთილების ცხრილი, სასწავლო საათების

რაოდენობა, შეფასების ინტენსივობა ან დასწრების უზრუნველყოფა, სკოლის დონეზე გადაწყდეს, რადგან სკოლების საჭიროებანი ერთმანეთისგან განსხვავდება. ზოგიერთ სკოლაში სულ ოციოდე მოსწავლე სწავლობს, ზოგში კი - ათასზე მეტი. ზოგი სკოლის თემი ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ზოგ სკოლაში შედარებით მეტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეა, ზოგგან მოსწავლეების დიდ ნაწილს მშობლები საზღვარგარეთ ჰყავს. ზოგ სკოლაში ტრადიციულად გაძლიერებულად ისწავლებოდა რაიმე მიმართულება.

წინა წლებში, თვითმმართველობის როლის ზრდასთან ერთად, შეიქმნა ანგარიშვალდებულებათა ახალი სისტემა. ადრე სკოლის დირექტორი საკუთარი დამქირავებლის, სახელმწიფოს წინაშე იყო პასუხისმგებელი. ახლა ის სასკოლო თემის წინაშეც არის ანგარიშვალდებული. დირექტორს სკოლა ირჩევს და მისი წარმატებაც ამომრჩევლების, მასწავლებლებისა და მშობლების შეფასებაზეა დამოკიდებული. ისინი ირჩევენ სამეურვეო საბჭოებსაც, რომლებიც, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, სკოლის ბიუჯეტის შედგენაში უნდა მონაწილეობდნენ. სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს პედაგოგიური საბჭოები უნდა იღებდნენ. ამ სისტემის დანერგვა 2005 წლიდან დაიწყო.

ცენტრალიზაციის ტენდენცია უარყოფითად მოქმედებს სისტემის განვითარებასა და სისტემაში ჩართული ადამიანების კმაყოფილებაზე. სკოლებში მომუშავე ადამიანებს უმცირდებათ პასუხისმგებლობა, რადგან მათ ნაცვლად გადაწყვეტილებებს სახელმწიფო იღებს. ცენტრალიზაციის პირობებში, ყოველდღიური საქმიანობის შენელების გარდა, სიახლეების დანერგვაც ფერხდება. პროფესიულ განვითარებაზე, შემოქმედებით მიდგომებზე ორიენტირებულ ადამიანებს მოტივაცია უმცირდებათ, რადგან ნაკლები გავლენა აქვთ პროცესებზე. სხვებს კი, პასუხისმგებლობის ჩამორთმევით, საუკეთესო საშუალება ეძლევათ, საკუთარი წარუმატებლობაც სახელმწიფოს გადააბრალონ. სახელმწიფოს გაზრდილი პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად საჯარო მოხელეების რაოდენობის ზრდა სჭირდება. ეს კი საბოლოო ჯამში იწვევს იმას, რომ ფინანსები, რომელიც მოსწავლეს სკოლაში უნდა

მიჰყვებოდეს და იქ იხარჯებოდეს, ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციონირებას ხმარდება.

განათლების სისტემის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ უნივერსიტეტებში მასწავლებლის მომზადება, არამედ მისი უწყვეტი პროფესიული განვითარება. პედაგოგიური კადრების პროფესიული განვითარების მიზანია მასწავლებელმა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისას მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარჩვევები ეფექტურად გადაიტანოს სასკოლო პრაქტიკაში. სწორედ ამ დროს იზრდება მასწავლებლის კომპეტენცია. "ზოგადი განათლების შესახებ", კანონის მიხედვით საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა. აქედან ნათლად ჩანს, რა მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო თანამედროვე მასწავლებელს. 2008 წელს დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელმაც განსაზღვრა მასწავლებლის კომპეტენციები. ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულება. რომელიც პროგრამების ხარისხის დადგენასა და პროფესიული განვითარების დეცენტრალიზებულად წარმართვას ითვალისწინებდა. ამას მოყვა ის ფაქტი, რომ პროცესში ჩაერთვენ უნივერსიტეტები, ასოციაციები, საგანმანათლებლო პროფილის ორგანიზაციები, როგორც ტრენინგის მიმწოდებლები. ჩატარდა პროგრამების აკრედიტაცია და სახელმწიფომ მასწავლებლების პროფესიული განვითარების ტრენინგის ჩატარება აკრედიტირებული პროგრამების მქონე სხვადასხვა ორგანიზაციას მიანდო. მათ დაიწყეს მასწავლებელთა

გადამზადება. თუმცა, ეს პროცესი ორი წელი გაგრძელდა და დღეს ისევ ცენტრალიზებული სისტემაა, სადაც მასწავლებლების დიდი უმრავლესობა მხოლოდ სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შეთავაზებულ ტრენინგებში მონაწილეობს. მართალია კანონმდებლობის დონეზე სხვადასხვა ორგანიზაციას აკრედიტებული ტრენინგების ჩატარების უფლება ისევ აქვს, მაგრამ ეს ნორმა რეალურად არ მოქმედებს. კვლევის მიხედვით, რომელიც 2012 წელს მასწავლებეთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით ჩატარდა (მასწავლებელთა მოსალოდნელი ნაკადის კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012). კითხვაზე - თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ პროფესიული განვითარების ტრენინგების ხარისხის უზრუნველსაყოფად, გამოკითხულთა უმრავლესობა - 56% - მიიჩნევს, რომ სისტემა დეცენტრალიზებული უნდა იყოს და სხვადასხვა ორგანიზაციას (პროვაიდერს) ტრენინგების ჩატარების საშუალება უნდა ჰქონდეს. გამოკითხულთა 27% ფიქრობს, რომ ტრენინგები უნდა იყოს ცენტრალიზებული, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის გავლენას სწავლობს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის კვლევა[21]. კვლევის მიგნებებში ძირითადად საუბარია იმაზე, რომ შემცირდა პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, შემოთავაზებული ტრენინგები არ არის მრავალფეროვანი, მასწავლებელთა შედეგები წინა წლებთან შედარებით არ გაუმჯობესებულა, ასევე ნაკლებია ინფორმაცია სკოლის დონეზე არსებული შესაძლებლობების შესახებ, არ მოქმედებს ტრენინგების ხარისხის შემოწმების მექანიზმები. მასწავლებლის სახლის გარდა ტრენინგებს ატარებენ: არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშრისო ორგანიზაციები და საგნობრივი ასოციაციები. დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებულია, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ეფექტური საშუალებაა დამოუკიდებელი, თვითრეგულირებადი პროფესიული ასოციაციების შექმნა-ფუნქციონირება. ასეთი ასოციაციები არის პროფესიაში წარმატებულთა გამოვლენის, პროფესიაში მყოფი ადამიანების მიერ

[21]მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის დეცენტრალიზაციის გავლენა სკოლების ეფექტიანობაზე. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2013

ერთმანეთის განვითარებაზე ზრუნვისა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობის გამოცდილი შესაძლებლობა. სასიხარულოა, რომ საქართველოში რამდენიმე ასეთი პროფესიული ასოციაცია არსებობს და თუ სახელმწიფოში დეცენტრალიზაციის ტენდენციები შეიქმნება და შეიცვლება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დაფინანსების მოდელი, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება თითოეულ მასწავლებელზე გამოსაყოფი თანხა, მასწავლებელი კონკურენტუნარიან ბაზარზე გამოიყენებს ამ შესაძლებლობას და გააკეთებს არჩევანს მისთვის საინტერესო მომსახურების სასარგებლოდ. ეს თავისთავად სერიოზულ ბიძგს მისცემს საგნობრივ ასოციაციებს თავიანთი სერვისები მასწავლებელთა რეალურ საჭიროებას მოარგოს და აამაღლოს სერვისების ხარისხი. ჩვენს ქვეყანაში ხშირად საუბრობენ ფინეთის განათლების სისტემის მიღწევების შესახებ, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ფინეთის ეს მიღწევა საგანმანათლებლო სფეროში დაბანდებული უხვი ინვესტიციის შედეგია. ფინეთში მასწავლებლობის ყველა მსურველი იღებს საკმაოდ მაღალი ხარისხის სამწლიან პოსტსაბაკალავრო მომზადებას სახელმწიფოს ხარჯზე. მოსამზადებელ კურსზე ისინი სწავლობენ კურიკულუმების შედგენას ნებისმიერი დონის, ნებისმიერი უნარების მქონე მოსწავლეთა ჯგუფებისთვის. ამ სისტემის ერთ-ერთი მკვლევარი განათლების სისტემის ანალიზის შეჯამებისას გამოყოფს რამდენიმე მთავარ პრინციპს:

- რესურსების მიმართვა იმისკენ ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება;
- ხელშეწყობა განსაკუთრებულ საჭიროებათა მქონე მოსწავლეებისთვის;
- კვალიფიციური მასწავლებლები;
- განათლების შეფასების კრიტერიუმები;
- დეცენტრალიზაციისა და ცენტრალიზაციის ბალანსი[22]

რაც შეეხება, ქართველი მასწავლებლების მზაობას მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების ტრენინგებში, ნათლად გამოიკვეთა, რომ მათი სურვილია პროფესიული განვითარება მათ საჭიროებებზე იყოს მორგებული. ისინი მზაობას აცხადებენ მონაწილეობა მიიღონ, როგორც მასწავლებლის სახლის, ასევე უნივერსიტეტებისა და

[22] Laukkanen, 2008, p. 319.

ასოციაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ტრენინგებში. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, სკოლის ბაზაზე განხორციელებულ საქმიანობებს. პროვაიდერი ორგანიზაციების ნაწილი თვლის, რომ მნიშვნელოვანია გარდამავალ პერიოდში დაცული იყოს დეცენტრალიზაციისა და ცენტრალიზაციის ბალანსი რაც ხელს შეუწყობს პროვაიდერი ორგანიზაციების კონკურენტულ გარემოში განვითარებას და მასწავლებლებს ნელ-ნელა დაუბრუნდებათ ხარისხიანი, აკრედიტებული პროგრამების მიმართ ნდობა. ეს ხელს შეუწყობს ბაზარზე მრავალფეროვანი ტენინგ-პროგრამების არსებობას, რომლებიც მასწავლებელთა საჭიროებებზე იქნება მორგებული. მაშინ როგორია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების სერვისის ყველაზე ეფექტური მოდელი? განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებულ ,,მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების კონცეფციის" რეზიუმეში ხაზგასმულია ერთიანი სააზროვნო სივრცის მნიშვნელობა, რაც აუცილებელია სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის არსებული სიცარიელის შესავსებად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების დეცენტრალიზაცია სწორედ ამ სიცარიელის შევსების ერთი საშუალებაა. თუ სისტემის მრავალი აქტორი მონაწილეობას მიიღებს ამ პროცესში, ამუშავდება დღეს არსებული მოთხოვნები პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა გაიზრდება. ბუნებრივია, დეცენტრალიზაციასა და ცენტრალიზაციას შორის ბალანსიც მნიშვნელოვანია. დღეს, როდესაც ყოველწლიურად მცირდება აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა შესაძლებელია ბაზარზე რომელიმე პროგრამის დეფიციტი შეიქმნას, შესაბამისად სახელმწიფო ინსტიტუციისა და პროვაიდერების ერთიანი მოქმედება ამ სივრცეში დროებით საჭიროც კი იყოს, თუ სახელმწიფო გადადგამს ნაბიჯს დეცენტრალიზაციისკენ. დეცენტრალიზაციისკენ ნაბიჯის გადადგმა კი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების მიწოდების პროცესზე მრავალმხრივ პასუხისმგებლობას ნიშნავს. ერთი მხრივ ამუშავდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების აკრედიტაციის პროცესი, სახელმწიფო აიღებს ტრენინგების შეფასების პასუხისმგებლობას, ამ პროცესში ჩაერთვებიან უნივერსიტეტები და ასოციაციები, და ისინიც იქნებიან

პასუხისმგებელნი ჩატარებული ტრენინგების ხარისხსა და ეფექტურობაზე. რაც მთავარია სკოლებსა და მასწავლებლებს ექნებათ არჩევანის შესაძლებლობა, რაც ასევე გულისხმობს პასუხისმგებლობას. .

დასკვნისთვის, სისტემა წარმატებული იქნება მაშინ, როდესაც მასწავლებლებს ექნებათ მოტივაცია, წავიდნენ ტრენინგზე და პროფესიულად განვითარდნენ. თუკი მასწავლებელი მუდმივად დამატებითი შემოსავლის მოპოვებაზე ფიქრობს, ან პროფესიული განვითარება კარიერულ წინსვლაში არ ეხმარება, მას საკუთარი პრაქტიკის გააზრებისა და ტრენინგზე მიღებული ცოდნის საგაკვეთილო პროცესში დანერგვისთვის არც დრო ექნება და არც მოტივაცია. ასეთ შემთხვევაში, როგორც ცენტრალიზებული ასევე დეცენტრალიზებული სისტემა განწირული იქნება წარუმატებლობისათვის. მასწავლებელმა ტრენინგზე არა მხოლოდ ცოდნა უნდა მიიღოს, არამედ მისი საშუალებით უნარების განვითარება უნდა შეძლოს. ეს კი იმ პირობებში, როცა მასწავლებელს მოტივაცია არ გააჩნია, ან მისი მოტივაცია მხოლოდ გამოცდის ჩაბარებაა, - ყოვლად შეუძლებელია. საუკეთესო შემთხვევაში, ეს ძალისხმევა გაზრდის ინფორმირებული და არა კლასში ეფექტური მასწავლებლების რაოდენობას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-პროგრამების დეცენტრალიზაციის საკითხი მჭიდრო კავშირშია მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის კონცეფციასთან. მასწავლებლების წახალისების სისტემა, აქცენტირება პროფესიულ განვითარებასა და წარმატებულ სასკოლო პრაქტიკაზე გაზრდის მასწავლებლის მოტივაციას და ტრენინგების ეფექტურობას.

3.2. მასწავლებლის მახასიათებლის ჩარჩო და ის ინდიკატორები, რომლებიც განაპირობებს მის წარმატება-წარუმატებლობის მაჩვენებელს

„საქართველოში მასწავლებლები 4 კატეგორიად იყოფიან: პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი. პრაქტიკოსია მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად; უფროსია მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც პრაქტიკოსის სქემით

განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე, აქვს შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები; წამყვანია პედაგოგი, რომელიც აკმაყოფილებს როგორც უფროსი პედაგოგის მოთხოვნებს, ასევე, პრაქტიკული კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს და შედეგებს უზიარებს კოლეგებს; რაც შეეხება მენტორ მასწავლებელს, ის გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებს წამყვანი პედაგოგის ყველა მოთხოვნას, ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებსა და დამწყები მასწავლებლების პედაგოგიურ პრაქტიკას".[23]

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, მოქმედი მასწავლებლის ხელფასი დიდწილად განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიაში შესვლის მსურველთა რაოდენობასა და კომპეტენციებს, ასევე განათლების პროგრამების სტუდენტების კომპეტენციებსა და იმის ალბათობას დარჩება თუ არა მასწავლებელი პროფესიაში. მასწავლებლის ანაზღაურება საქართველოში დაბალია.

მასწავლებელთა ხელფასები მათი პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისია. მასწავლებლის სქემით განსაზღვრული სტატუსის შესაბამისი დანამატის ოდენობა დამოკიდებულია პედაგოგის სქემით განსაზღვრულ სტატუსებზე, რომლებიც ზემოთ განვმარტეთ. მაგრამ, სტატუსი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ შეძლოს სტატუსთან მიბმული დანამატის მიღება. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სრული საგაკვეთილო დატვირთვა, რაც ნიშნავს, რომ პედაგოგს აქვს 18 საგაკვეთილო საათი კვირაში. სასერტიფიკატო გამოცდების სირთულის დაძლევის გარდა, საქართველოს მასწავლებლებისთვის, შედარებით უკეთესი შრომის ანაზღაურების მისაღებად, პრობლემური ხდება სკოლაში საკმარისი საათების არ არსებობაც. „სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის (TALIS)"

---

[23]მასწავლებლის პროფესია საქართველოში - არსებული მდგომარეობა და გამოწვევები
https://factcheck.ge/ka/story/37698-mastsavleblis-prophesia-saqarthveloshi-arsebuli- mdgomareoba-da-gamotsvevebi

(საქართველოსთან ერთად კვლევაში მონაწილეობა მიიღო 35-მა ქვეყანამ) 2015 წლის ეროვნული ანგარიშის მიხედვით, მასწავლებლების ნახევარზე მეტი საქართველოში არასრულ განაკვეთზე მუშაობს და მათი უდიდესი ნაწილისათვის ეს არ არის არჩევანი. მიზეზი კი, არასაკმარისი საათებია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს არ ეხება მხოლოდ სოფლის მცირეკონტიგენტიან სკოლებს, სადაც ყველა მასწავლებლისთვის სრულ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობა სკოლის ზომითაა შეზღუდული - თბილისში არასრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებლების წილი 42%-ია. რომ შევადაროთ, TALIS-ის 35 ქვეყანაში არასრული განაკვეთით მასწავლებლების საშუალოდ 12% მუშაობს და მათგან ნახევრისთვის ამის მიზეზი საკუთარი არჩევანია.

სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის მიხედვით სრული განაკვეთით მომუშავე მასწავლებლების ყველაზე მაღალი წილი, 65% მათემატიკის მასწავლებლებშია. ყველა სხვა დანარჩენ საგანში მასწავლებლების ნახევარზე ნაკლები მუშაობს სრული დატვირთვით. არასრული დატვირთვით მომუშავე მასწავლებლების წილი კი ყველაზე დაბალი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ხელოვნების მასწავლებლებს შორისაა.

„საქართველოში არასრული განაკვეთით მომუშავე მასწავლებლების წილის სხვა ქვეყნებთან შედარებით ასეთი მაღალი მაჩვენებელი ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ TALIS-ში მონაწილე ქვეყნების დიდ ნაწილთან შედარებით, საქართველოში მასწავლებლების ძალიან მაღალი წილი მხოლოდ ერთ საგანს ასწავლის. შედარებისთვის, იმ მასწავლებლების წილი, რომლებიც მხოლოდ ერთ საგანას ასწავლიან 83%-ია, TALIS-ის საშუალო კი - 56%; საქართველოში 2 საგანს ასწავლის მასწავლებლების 14%, 3 საგანს - 2% და 4 ან მეტ საგანს - 1%. ეს მაჩვენებლებში TALIS-ის ქვეყნებში საშუალოდ 24% (2 საგანი), 9% (3 საგანი) და 10%-ია (4 ან მეტი საგანი)“[24].

[24]სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS), ეროვნული ანგარიში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2015 წელი. გვ. 28.

საგანმანათლებლო სისტემების უდიდესი ნაწილი მასწავლებლის პროფესიის დაბერების პრობლემის წინაშე დგას. საქართველოში ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დრამატული მდგომარეობაა: სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის მიხედვით, მასწავლებლების საშუალო ასაკი 5 წლით აღემატება TALIS-ის ქვეყნების საშუალოს, 60 წლისა და უფროსი ასაკის მაჩვენებელი TALIS-ის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია.

საქართველოში საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლების საშუალო ასაკი 48 წელია. მასწავლებლების 5% 30 წლამდე ასაკისაა. მასწავლებლების 20% 30-39 ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება. მასწავლებლების ყველაზე დიდი წილი 40-49 (27%) და 50-59 (28%) ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის. მასწავლებლების 19% 60 წლისა და უფროსი ასაკისაა. მოცემული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ მასწავლებლის პროფესია არ არის პრესტიჟული ახალგაზრდებში.

საქართველოში საბაზო საფეხურის მასწავლებლების ასაკობრივ განაწილებაში მცირე განსხვავებებია სკოლის მდებარეობის მიხედვით. მასწავლებლის ასაკში მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. ქართული ენისა და ლიტერატურის (კითხვა, წერა და ლიტერატურა) მასწავლებლების საშუალო ასაკი 49, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების საშუალო ასაკი კი 52 წელია მაშინ, როცა უცხოური ენებისა, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) მასწავლებლების საშუალო ასაკი 44 და 43 წელია. ეს განსხვავება უცხოური ენებისა და ისტ-ის მასწავლებლებს შორის 30 წლამდე ასაკის მასწავლებლების შედარებით მაღალი წილით აიხსნება. რაც შეეხება სხვა საგნებს, 30 წლამდე ასაკის პედაგოგების წილი ქართულის მასწავლებლებს შორის სულ 4%, მათემატიკის მასწავლებლებს შორის – 3%, ხოლო საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს შორის კი 2%-ია.

სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის მიხედვით „შედარებით ხანდაზმული მასწავლებლების მაღალი წილი თავისთავად უარყოფით მოვლენად არ უნდა განვიხილოთ. თუმცა არსებული ასაკობრივი განაწილება, სავარაუდოდ, სხვა

პრობლემის მიმანიშნებელია. ასეთი განაწილება, შესაძლოა, გამოწვეული იყოს მიწოდების ან მოთხოვნის ნაკლებობით, რასაც იწვევს მასწავლებლის პროფესიის გაჯერება, ახალგაზრდა მასწავლებლების დაბალი კომპეტენციები ან/და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი მასწავლებლის პროფესიის მიმართ".[25]

მასწავლებლების ახალგაზრდა თაობის დაბალი კომპეტენციები: თუ მასწავლებლების ახალი თაობას დაბალი კომპეტენციები აქვთ, სკოლის მმართველი გუნდისათვის ახალგაზრდა კადრების სამსახურში აყვანა არ არის ოპტიმალური გადაწყვეტილება. ასეთი მდგომარეობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს საუნივერსიტეტო განათლებისათვის მასწავლებლობის მსურველი ახალგაზრდების დაბალი მომზადებით. მიზეზი შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლების პროფესიასა და სკოლაში ინტეგრირების ინსტრუმენტების სისუსტე.

გაჯერებული შრომის ბაზარი: იგულისხმება შრომის ბაზრის, ამ შემთხვევაში - სკოლების - გაჯერებას, როცა, მაგალითად, პენსიაზე გასული მასწავლებლების წილს აღემატება პროფესიაში შემსვლელთა წილი. „ამ დაშვებას ნაწილობრივ ადასტურებს მასწავლებლების ასაკობრივი განაწილება საგნების მიხედვით: იმ საგნებში, რომლებშიც სკოლაში უკვე არსებული მასწავლებლების კოჰორტა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მაღალია ახალგაზრდა მასწავლებლების წილი. კერძოდ, თუ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს შორის 30 წლამდე ასაკის მასწავლებლების წილი 4%-ია, უცხოურ ენებსა და ისტ-ში, სადაც სასწავლო გეგმის ცვლილებამ მასწავლებლების დამატებითი მოთხოვნა გამოიწვია, ახალგაზრდა მასწავლებლების რაოდენობა მნიშვნელოვნად მაღალია: უცხოურ ენებში - 13% და ისტ მასწავლებლებს შორის – 9%". შრომის ბაზრის გაჯერება ახალგაზრდა კადრების პროფესიაში შესვლის მოტივაციას ამცირებს და დროთა განმავლობაში მიწოდების შემცირებას იწვევს: ახალ თაობას ეკარგება პროფესიაში შესვლის მოტივაცია, რადგან მათთვის ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა შეზღუდულია, შესაბამისად იკლებს პროფესიის პრესტიჟიც.

---

[25]სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS), ეროვნული ანგარიში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2015 წელი. გვ. 249.

მიწოდების ნაკლებობა: ამაში იგულისხმება, რომ ახალგაზრდა მასწავლებლები თავს იკავებენ სკოლაში მუშაობის დაწყებისგან და სხვა საქმიანობას ირჩევენ მასწავლებლის დაბალი ხელფასის, სამუშაო პირობების, პროფესიის პრესტიჟულობის ან/და მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გამოწვევების გამო.

სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის მიხედვით გენდერულ ჭრილში კვლევის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლების 84% ქალია, მაგრამ მათი წილი განსხვავდება საგნებისა და სკოლების მდებარეობის მიხედვით. ქალების ყველაზე მაღალი წილი უცხოური ენებისა (95%) და ქართული ენისა და ლიტერატურის (94%) მასწავლებლებზე ნაწილდება. მამაკაცების წილი ყველაზე მაღალი ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებშია (67%). მათი წილი ასევე შედარებით მაღალია მათემატიკისა (18%) და სახელობო საგნების (26%) მიმართულებით.

TALIS-ის კვლევა გვიჩვენებს, რომ დირექტორების აზრით, საქართველოში სასკოლო რესურსებიდან ყველაზე მეტად სკოლების მუშაობას კვალიფიციური/კარგი მასწავლებლების ნაკლებობა აფერხებს. დირექტორების 61% ამ ფაქტორს მიიჩნევს „ძალიან“ ან „გარკვეულწილად“ შემაფერხებლად. სასკოლო რესურსები განსხვავდება სკოლის მდებარეობის მიხედვით. როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, პატარა სოფლებში (მოსახლეობის რაოდენობა <3000) დირექტორების 62% თვლის, რომ კვალიფიციური/კარგი კადრების ნაკლებობა მათ სკოლას ეფექტიან ფუნქციონირებაში ხელს უშლის. შედარებით დიდ სოფლებში და დაბებში ასეთი დირექტორების წილი - 56%, პატარა ქალაქებში - 67%, ქალაქებში - 53%, თბილისში კი – 69%-ია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვალიფიციური მასწავლებლებისა და სასწავლო მასალების ნაკლებობას ან შეუსაბამობას კერძო და საჯარო სკოლები ერთნაირად განიცდიან (მასწავლებლები 60%-61% და სასწავლო მასალები – 48%).

3.3. დასკვნები და რეკომენდაციები;

ლიტერატურის მიმოხილვა, საერთო სურათის შესწავლა და კვლევის კონკრეტული შედეგები იძლევა შესაძლებლობას კონკრეტული დასკვნები გაკეთდეს მასწავლებლის პრესტიჟთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. მასწავლებლობა უძველესი დროიდან პროფესიაა და სხვადასხვა ეპოქაში მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები იყო სხვადასხვა, თუმცა მიუხედავად ამისა, უცვლელი იყო მისი უმთავრესი როლი - მასწავლებელი იყო ინფორმაციის წყარო და მისი გადამცემი;
2. ახალი მოთხოვნების მიხედვით მასწავლებლის პროფესიაში მიმდინერა ცვლილებები არ ატარებს სისტემურ ხასიათს და არ არის დაფუძნებული ისეთ გრძელვადიან სტრატეგიულ გათვლებზე, რომლებსაც მასწავლებლის პრესტიჟის ზრდა და იმიჯის ცვლილების მოტანა შეუძლია;
3. მასწავლებლის საბჭოური იმიჯის - ინფორმაციის მფლობელის - სტერეოტიპის მსხვრევა, გამოიწვია სწრაფცვალებად სამყაროში არსებულმა ინოვაციებმა და იმ ტექნოლოგიებმა, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის მოკლე დროში მოპოვებას და ამ მიზნით საერთოდ არ საჭიროებს მასწავლებელს;
4. მხოლოდ მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლები და სასწავლო პროცესი, ვერ ცვლის მასწავლებლის მენტალიტეტს და ამისათვის მასწავლებელთა მომზადების სრულიად ინოვაციური მიდგომებია დასანერგი;
5. მასწავლებლის პრესტიჟისა და იმიჯის ცვლილებისთვის საჭიროა მოსწავლის შესაძლებლობებზე და საგანამანთლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვაზე ორიენტირებული დიგიტალური ცვლილებები, რის საფუძველზეც შეიცვლება მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და შეიცვლება სწავლება-სწავლის შინაარსიც;

რეკომენდაციები:

- მასწავლებლის იმიჯის გაუმჯობესება სისტემურ დონეზე უნდა განხორციელდეს. დამატებით შესწავლას საჭიროებს მასწავლებლის იმიჯზე

მოქმედი ფაქტორები და ის გარემოებები, რომლებიც ხელს უწობს მასწავლებლის იმიჯის ცვლილებას.

- ცვლილება უნდა განხორციელდეს მასწავლებელთა მომზადების და პროფესიული გადამზადების ეტაპებზე და ეს პროცესი უნდა იყოს პერმანენტული ხასიათის;
- მკვეთრად შეიცვლება მასწავლებლის პროფესიისადმი ინტერესი, როდესაც მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე მხოლოდ განსაკუთრებული მონაცემების მქონე აბიტურიენტების მიღებაზე გაკეთდება აქცენტი და არა ისე, როგორც ახლა, ყველაზე დაბალი აკადემიური მოსწრების აბიტურიენტები ხდებიან მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტები;
- უნდა მოხდეს მასწავლებლის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით მისი სახელფასო საარგოს ზრდა;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ხატიაშვილი, მასწავლებლობა - პროფესია თუ მოწოდება, GESJ: Education Science and Psychology 2014 | No. 5(31).

2. ნ. ვასაძე, პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, “განათლება”, 1988.

3. ვ. გაგუა, პედაგოგიკა, თბილისი, 1996.

4. ნ. ვასაძე, პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1998.

5. ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხძულებანი, თბ., 1938.

6. 139 წლის წინ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა - http://ghn.ge/com/news/view/203317

7. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - http://ka.georgica.ac.ge/isi/ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (S ფონდი)

8. ქ. ჭკუასელი, მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში, Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14)

9. მასწავლებელთა მოსალოდნელი ნაკადის კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012.

10. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის დეცენტრალიზაციის გავლენა სკოლების ეფექტიანობაზე, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2013

11. ზაქარია ქიტიაშვილი, ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში,1991 – 2013 წლები, სადისერტაციო ნაშრომი, 2016.

12. მასწავლებლის პროფესია საქართველოში - არსებული მდგომარეობა და გამოწვევები - https://factcheck.ge/ka/story/37698-mastsavleblis-prophesia-saqarthveloshi-arsebuli-mdgomareoba-da-gamotsvevebi

13.სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS), ეროვნული ანგარიში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2015 წელი.